# გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

## 2023 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე

## ამბროლაურის მუნიციპალიტეტი

1. **პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:**
(სათაურში მოკლედ უნდა მიეთითოს პროექტის შინაარსი)
საჭიროებათა კვლევის საფუძველზე ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახის კეთილდღეობაზე მორგებული მუნიციპალური პროგრამების განხორციელება.

2. **თემატიკა:**
(გამოცხადებული საკონკურსო თემის დასახელება)

ბავშვის საჭიროებებზე მორგებული სოციალური პროგრამები, ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშვზე მავნე ზემოქმედების პრევენცია;

3. **პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი:**
(მუნიციპალიტეტი, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, ადგილობრივი მოსახლეობა).

ინიციატივის ავტორია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია, საქართველოს ადგილობრივ თთვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია „ათეა" და მხარდამჭერი ორგანიზაციაა გაეროს ბავშვთა ფონდი.

4. **მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:**
(ძირითადი/ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ: დასახელება, გეოგრაფიული მდებარეობა, მოსახლეობის რაოდენობა, და ა.შ. მაქსიმუმ ნახევარი გვერდი)

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში, ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე და განეკუთვნება მაღალმთიან ზონას. ჩრდილო–აღმოსავლეთიდან მას ესაზღვრება ონის მუნიციპალიტეტი, ჩრდილო–დასავლეთიდან ლენტეხის და ცაგერის მუნიციპალიტეტები,

სამხრეთ–დასავლეთიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტი (იმერეთის რეგიონი), სამხრეთიდან–ტყიბულის მუნიციპალიტეტი (იმერეთის რეგიონი), ხოლო სამხრეთ–აღმოსავლეთიდან – ჭიათურის და საჩხერის მუნიციპალიტეტები (იმერეთის რეგიონი).

მანძილი მუნიციპალიტეტის ცენტრიდან რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საზღვრამდე 79 კმ-ია, უახლოეს სარკინიგზო სადგურამდე (ქ. ტყიბული) 39 კმ, უახლოეს სარკინიგზო კვანძამდე (ქ. ქუთაისი) 72 კმ, უახლოეს პორტამდე (ქ. ფოთი) 170 კმ, ქ. თბილისამდე 243 კმ. მუნიციპალიტეტის მთლიანი ფართობი 1142 კვ.კმ–ია, რომელიც მოიცავს 1 ქალაქსა და 69 სოფელს.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის რეგისტრირებული მოსახლეობა 2023 წლის 01 ოქტომბრის მდგომარეობით 13597 ადამიანია, აქედან 10.2 ათასი მუდმივი მაცხოვრებელია, რაც მთლიანად

რეგიონის მოსახლეობის 37.6%-ია. მოსახლეობის რიცხოვნობა ბოლო 10 წლის მანძილზე შემცირდა 14.3%-ით. ამბროლაურის მოსახლეობის სიმჭიდროვე ერთ კვ.კმ-ზე 8.9 კაც/კვ.კმ-ია, საქართველოს მოსახლეობის სიმჭიდროვე კი 53,3 კაც/კვ.კმ-ია.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 80,4% სოფლად ცხოვრობს, 19.6 % - ქალაქად. მუნიციპალიტეტი მდებარეობს 9 ბალიან სეისმურ ზონაში, აქვს წყალდიდობების, მეწყრის და სეტყვის საშიშროებები. მუნიციპალიტეტს მინიჭებული აქვს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი. მუნიციპალიტეტის მოსახლეობიდან 6732 ქალია, ხოლო 6865 მამაკაცი. რაც შეეხება ბავშვებს, 0-6 წლის ჩათვლით 733 ბავშვია, 7-18 წლის ჩათვლით 1267. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის ისეთი სოფლები სადაც ბავშვიანი ოჯახები საერთოდ არ ცხოვრობს. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა მუნიციპალიტეტში არის ახალგაზრდების მიგრაცია.

## 5. მუნიციპალიტეტის მახასიათებლები:

(გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე)

- **შიდა ფაქტორები** - პროექტის განხორციელებისას დიდი მნიშვნელობა აქვს გადაწყვეტილების მიმღები თანამდებობის პირების ჩართულობასა და მხარდაჭერას, ასევე დიდი როლი აქვს საჯარო მოხელეების კვალიფიკაცია, საჭიროებათა კვლევის და პროგრამის შედგენის პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულები მერის წარმომადგენლები რომლებმაც კარგად იცოდნენ თითოეული ბავშვიანი ოჯახის საკითხი, ასევე საოციალური და ადმინისტრაციული სამსახურის თანამშრომლები, რომლებიც ეცნობოდნენ სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებს, პროექტებსა და პროგრამებს რომელიც ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერას შეეხებოდა.

- **გარე ფაქტორები** - „ათეას" მეთოდოლოგიური და საკონსულტაციო მხარდაჭერა. კერძოდ, 2022 წელს ამბროლაურის მინიციპალიტეტის მერიასა და საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნულ ასოციაციას „ათეას" (HALAG) შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში ადგილობრივ დონეზე სოციალური პოლიტიკისა და სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით მუნიციპალიტეტს გადმოეცა ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები. სამუშაო ჯგუფის წევრებთან გაიმართა რამოდენიმე შეხვედრა და მუდმივად ჩართული იყო პროექტის მიმდინარეობის პროცესში. მნიშვნელოვანი იყო მუნიციპალიტეტში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა და თანამშრომლობა როგორც პრობლემური საკითხების იდენტიფიკაციაში ისე მათი გადაწყვეტის გზების მოძიებაში. ასევე მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში ყოფნამ და ისეთი სერვისების ადგილზე არარსებობამ რომლის რეალური საჭიროებაც ბავშვიანი ოჯახებისთვის არსებობდა.

## 6. პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:

(მაქსიმუმ ერთი გვერდი. მნიშვნელოვანია, რომ შინაარსი მოიცავდეს შემდეგ სავალდებულო საკითხებს)

- **გამოწვევა** - პრობლემის მნიშვნელოვანი გარემოებების მითითება;

მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად მტკიცდება მუნიციპალური სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ მხარდაჭერაში ჩადებული ძალისხმევის მიუხედავად, მიღებული შედეგი ხშირად არ არის დახარჯული ფინანსური რესურსის პროპორციული, პროექტის ფარგლებში ჩატარებულმა საჭიროებათა კვლევამ ცხადყო რომ მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ნაცვლად ერთჯერადად მიღებული ფულადი თანხისა ითხოვდა ისეთი დახმარების მიღებას რომელიც მის წინაშე არსებული კონკრეტული საჭიროების გადაწყვეტას ემსახურებოდა, ითხოვდა უფრო ეფექტური პროგრამის არსებობას რომელიც წლების განმავლობაში ერთჯერადი სახით მიღებული დახმარების სანაცვლოდ ისეთი სახის მხარდაჭერას მოუტანდა ოჯახს რომელიც კონკრეტული საკითხის გადაწყვეტაში ჭირდებოდა. ბავშვიან ოჯახებთან ურთიერთობისას პრობლემას წავაწყდით შშმ პირის სტატუსის მინიჭების საჭირეობაზე, იმ სსმ ბავსვების მშობლები რომელთა მდგომარეობიდან გამომდინარე არსებობდა შშმ სტატუსის მინიჭების საჭიროება უარს აცხადებდნენ ბავშვებისთვის შშმ სტატუსის მინიჭებაზე, მუნიციპალიტეტში არსებულ დღის ცენტრს შეეძლო მომსახურებოდა მხოლოდ შშმ სტატუსის მქონე ბავშვებს.

- **წარსული გამოცდილება** - როგორ ხდებოდა გამკლავება აღნიშნულ პრობლემასთან და რა უშლიდა ხელს მის აღმოფხვრას;

მუნიციპალიტეტს არ ჰქონდა საჭიროებათა კვლევის საფუძველზე შედგენილი პროგრამა რომელიც ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერას ითვალისწინებდა, მართალია ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მოქმედებდა ისეთი სახის სოციალური პროგრამები რომელიც ითვალისწინებდა ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემას, მაგრამ როგორც კვლევის შედეგმა აჩვენა პროგრამების შემუშავება ნაკლებად ემყარებოდა სოციალური საჭიროების შეფასების, პრიორიტეტების დადგენისა და საჭიროებათა იდენტიფიცირების პროცესში მიზნობრივი ჯგუფების ჩართვის უნიფიცირებულ მეთოდოლოგიას; პროგრამები ხშირად ეფუძნებოდა წინა წლის გამოცდილებას და უკვე არსებულ პროგრამებზე მიმართვიანობათა რიცხვს, შესაბამისად სამიზნე ჯგუფის ის ნაწილი, რომელიც ვერ ახერხებდა მიმართვას, გამორჩენილი იყო თვალთახედვიდან; ბენეფიციართა წრის დასადგენად უმეტეს შემთხვევაში გამოიყენებოდა სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ბენეფიციარისთვის მინიჭებული ქულები; მუნიციპალიტეტი არ იყო დაკომპლექტებული ისეთი კადრებით რომლებიც ბავშვიანი ოჯახების საჭიროების დასადგენად ფლობდნენ შესაბამის კვალიფიკაციასა და გამოცდილებას, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში 2020 წელს შეიქმნა ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება რომელმაც 2021 წლიდან დაიწყო ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერის მიზნით პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაზე მუშაობა, თუმცა საჭიროებათა კვლევა 2022 წელს ჩატარდა და პროგრამა 2023 წელს ამოქმედდა.

- **პასუხი არსებულ გამოწვევაზე**

მუნიციპალიტეტში ჩატარებული საჭიროებათა კვლევის შედეგად შექმნილი იქნა ანგარიში რომელშიც დეტალურად გაიწერა მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებები და შეიქმნა დოკუმენტი რომელიც წარმოადგენს მტკიცებულებაზე დამყარებული სოციალური პოლიტიკის საფუძველს. დოკუმენტზე დაყრდნობით შედგენილი იქნა მუნიციპალური პროგრამა რომელიც ბავშვიანი ოჯახების მხრადაჭერისკენ იყო მიმართული, მუნიციპალიტეტი შეეცადა ყველა იმ საჭიროებაზე გაეკეთებინა აქცენტი რომელიც კვლევის დროს გამოიკვეთა. საჭიროებათა კვლევის ჩატარებამ ხელი შეუწყო მოსახლეობასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის ნდობის ფაქტორის გაღრმავებამ. მუნიციპალიტეტმა გააღრმავა თანამშრომლობა და დაიწყო იმ ორგანიზაციების ფინანსური

მხარდაჭერა რომელსაც შესაძლებლობა ჰქონდა ბავშვიანი ოჯახების საჭირო მომსახურების შეთავაზების და დამატებითი ფინანსური მხარდაჭერა ჭირდებოდა.

7. **განხორციელებული პრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა:**
(გამოწვევის გამკლავების მიზნით გაწეული სამუშაო. გთხოვთ, პრაქტიკის აღწერისას თანმიმდევრულად მიყვეთ ქვემოთ ჩამოთვლილ პუნქტებს)

- **პროექტის შინაარსი;**
  პროექტის - ბავშვთა დაცვის სისტემების გაძლიერება ადგილობრივ დონეზე სოციალური საჭიროების კვლევის შეთანხმებული მეთოდოლოგიის და ინსტრუმენტების გამოყენებით ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებების კვლევი ჩატარება; საჭიროებათა კვლევის მიგნებებზე დაფუძნებული სოციალური პროგრამების პაკეტის შემუშავება და განფასება; ახალი მეთოდოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენებით შემუშავებული და განხორციელებული სოციალური პროგრამების შეფასება;

მუნიციპალიტეტის მერმა გამოსცა ბრძანება N76.76221458 25/05/2022 წ. სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის სამუშაო ჯგუფის შექმნისა და სამუშაო ჯგუფის დებულების შექმნის შესახებ. ამ ბრძანების საფუძველზე სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყო კვლევის ჩატარება სამიზნე ჯგუფების მიხედვით:

1. შშმ ბავშვი, (სტატუსის მქონე, არმქონე, განსაკუთრებული სირთულის მქონე ბავშვი)
2. მშობლის მზრუნველოვას მიკლებული ბავშვი (ობოლი ან მარჩენალ დაკარგული, მშობლის მიგრაციის შედეგან ნათესავებთან მცოვრები ბავშვი)
3. ბავშვი ღარიბი ოჯახიდან რომლის მშობელი/მეურვე არი შშმ პირი
4. ღარიბი ბავშვიანი ოჯახი (სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე/სტატუსის არმქონე, და ღარიბი მრავალშვილიანი ოჯახი)
   საჭიროებათა კვლევის საფუძველზე მოხდა ანგარიშის მომზადება, შემდგომ შექმნილი იქნა 2023 წლის პროგრამა, რომელშიც გათვალისწინებული იქნა ის საჭიროებები რაც ანგარიშში იყო ასახული, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გაიზარდა ბავშვიანი ოჯახებისთვის განკუთვნილი დაფინანსების თანხა. პროგრამის მოქმედების პარალელურად ხდება ბენეფიციართა გამოკითხვა რომლითაც ფასდება პროგრამის ეფექტურობა. 2024 წლის პროგრამის შექმნისას კვლავ მოხდა საჭიროებათა კვლევის შედეგად გამოვლენილი გარემოებების განხილვა და იმ საკითხების გათვალისწინება რომელიც 2023 წელს მუნიციპალიტეტმა ვერ დააფინანსა.

- **აქტივობათა გეგმა/გრაფიკი** (გთხოვთ წარმოადგინოთ ცხრილის სახით);

**დანართი 2**

**საჭიროებათა კვლევის ეტაპების კალენდარი**

| საქმიანობის ეტაპი | ხანგრძლივობა | ვადა |
|---|---|---|
| **საჭიროებათა კვლევის სამუშაო ჯგუფის პირველი სხდომა, ფუნქციების განაწილება** | | 25 მაისი |
| **საინფორმაციო კამპანია** | პერიოდულად | 27 მაისი - 9 სექტემბერი |
| **საჭიროებათა კვლევა (სრული ციკლი)**<br>მათ შორის: | 15 კვირა | 30 მაისი - 9 სექტემბერი |
| **1. მონაცემთა მოძიება და ანალიზი** | 6 კვირა | 30 მაისი - 1 ივლისი |
| 1.1. სტატისტიკური მონაცემების მოძიება და ანალიზი | | 30 მაისი - 1 ივლისი |
| 1.2. სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლების გამოვლენა/იდენტიფიკაცია საჭროებათა კვლევაში მათი ჩართვის მიზნით; დაინტერესებული მხარეების იდენტიფიკაცია | | 30 მაისი - 1 ივლისი |
| **2. ლიტერატურის კველვა** | 6 კვირა | 30 მაისი - 1 ივლისი |
| **3. სოციოლოგიური კვლევა** | 4 კვირა | 13 ივნისი - 11 ივლისი |
| 3.1. სამიზნე ჯგუფების წარმომადგენლებთან (რესპონდენტებთან) ინტერვიუ, შეხვედრა, ფოკუს-ჯგუფი | | 13 ივნისი - 11 ივლისი |
| 3.2. საჯარო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი | | 13 ივნისი - 11 ივლისი |
| **4. მონაცემთა დახარისხება, დაკვირვება და შემთხვევათა ანალიზი** | 2 კვირა | 11 ივლისი - 22 ივლისი |
| **5. საჭიროებათა კვლევისას მიღებული მონაცემების დამუშავება და ანალიზი** | 3 კვირა | 22 ივლისი - 5 აგვისტო |
| **6. კვლევის მიგნებების საფუძველზე პრიორიტეტების გამოვლენა ფოკუს-ჯგუფის საშუალებით** | 1 კვირა | 5 აგვისტო - 12 აგვისტო |
| **7. საჭიროებათა კვლევის პირველადი ანგარიშის** | 1 კვირა | 12 აგვისტო - 19 |

| | | |
|---|---|---|
| საჯარო განხილვა | | აგვისტო |
| 8. საჭიროებათა კვლევის საბოლოო ანგარიში | 1 კვირა | 22 აგვისტო - 29 აგვისტო |
| 9. პროგრამის პროექტის წარდგენა | | 15 ნოემბერი 2022 წ. |
| 10. პროგრამის პროექტის დამტკიცება | | 25 დეკემბერი 2023 წელი |
| 11. მონიტორინგი | 2023წლის იანვარი | 2023 წლის დეკემბერი |

- **პროექტის განხორციელებისათვის მიღებული/გაფორმებული გადაწყვეტილებების, ან პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტების ჩამონათვალი** (მუნიციპალიტეტის რელევანტური სტრატეგიული დოკუმენტები, განვითარების გეგმა, ბრძანებები, განკარგულებები, დადგენილებები, რეზოლუციები, შეხვედრის ოქმები, ინსტრუქციები და ა.შ.). *აღნიშნული დოკუმენტაცია თან უნდა დაერთოს განაცხადის შევსებულ ფორმას;*

1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება N ბ 76.76221458 25.05.2022 წ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დეგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის სამუშაო ჯგუფის შექმნისა და სამუშაო ჯგუფის დებულების დამტკიცების შესახებ
2. კალენდარი
3. განაცხადი 2023 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე.
4. სხდომის ოქომი N1 25.05.2022 წ.
5. სხდომის ოქმი N2 14.06.2022 წ.
6. სხდომის ოქმი N3 01.07.2022 წ.
7. სხდომის ოქმი N4 04.08 2022 წ.
8. სხდომის ოქმი N5 01.09.2022 წ.
9. სხდომის ოქმი N 6 08.11.2022 წ.
10. საჭიროებათა კვლევის პირველადი ანგარიში.
11. საჭიროებათა კვლევის საბოლოო ანგარიში.
12. დადგენილების პროექტი.
13. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოას დადგენილება N25 2022 წლის 16 დეკემბერი.
14. საბიუჯეტო განაცხადი.

- **ინფორმაცია მოქალაქეების, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების** (მ.შ. მიზნობრივი და მოწყვლადი ჯგუფების, უმცირესობების, ქალების, ახალგაზრდების, ადგილობრივი სათემო ორგანიზაციების, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების, დასახლების საერთო კრების, მერის მრჩეველთა საბჭოს, კერძო

სექტორის წარმომადგენლების, საჯარო დაწესებულებების და სხვა) **ჩართულობის შესახებ;**
პროექტის განხორციელების დროს ჩართულობა იყო არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, კერძოდ: (ა) აიპ „ერთად რეალური ცვილებებისათვი " თავმჯდომარე ქ. ნანა ლომაძე.
(ა) აიპ რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთის თვითმმართველობის რესურს ცენტრის დირექტორ ქ. ნინო სოხაძე. აგრეთვე (ა)აიპ სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორ ქ.ეკატერინე კიბაბიძე. სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო"-ს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული ცენტრი. ამბროლაურის საგანმანათლებლო რესურს ცენტრი.

- **ინფორმაცია პროექტისთვის გამოყენებული რესურსის შესახებ. მ.შ.:**
  ა) ადამიანური რესურსი - საკუთარი/არასაკუთარი;
  პროექტის განხორციელებაში მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტის თანამშრომლები.
  ბ) ფინანსური - მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი/დონორის დახმარება;
  პროექტისა და პროგრამის განხორციელებაში გამოყენებული იყო მუნიციპალიტეტის ფინანსური სახსრები.
  გ) გამოყენებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი;
  გამოყენებული იქნა მუნიციპალიტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსი.
- **პროექტის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების აღწერა;**
  ვინაიდან, მსგავსი კვლევა სიახლე იყო მუნიციპალიტეტისათვის და მერის წარმომადგენელთაგან ზოგიერთს გაუჭირდა 17 გვერდიან ანკეტებთან გამკლავება. ამ პრობლემის მოსაგვარებლად რამდენჯერმე მოხდა მათი დატრეინინგება სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ. საჭიროების შემთხვევაში სამუშაო ჯგუფი ერთვებოდა საველე მუშაობაშიც.
- **ინფორმაცია იმ პარტნიორების შესახებ, ვინც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვის, ან განხორციელების ეტაპზე;**

  პროექტის განხორციელების პროცესში დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპზე ჩართული იყო „საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია"
- **სხვა დამატებითი ინფორმაცია, რაც მნიშვნელოვანი იყო პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის;**
  პრექტის წარმატებით განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჯგუფების კოორდინირებულმა მუშაობამ, ათეას წარმომადგენლების მიერ მოწოდებულმა ინსტრუქციებმა და ასევე ჯგუფის ხელმძღვანელისა და მოადგილის მხარდაჭერამ.

8. **მიღწეული შედეგი და დადებითი გავლენა:**

(დეტალური, დოკუმენტირებული ინფორმაცია მიღწეული შედეგების შესახებ)

კვლევის შედეგად მუნიციპალიტეტში გამოიკვეთა გარკვეული სახის პრობლემატიკა, აღსანიშნავია, რომ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ყველაზე დაბალი მაჩვენებელი გამოიკვეთა ისეთი ოჯახებისა, რომელსაც არ ყავს ოჯახში შემოსავლის შემომტანი პირი, რაც შეგვიძლია

დავაკავშიროთ იმასთან, რომ მაღალია სახელმწიფო გასაცემელის მიმღებთა მაჩვენებელი. ბავშვიანი ოჯახების ერთ-ერთ მთავარ სოციალურ პრობლემად, დაბალი შემოსავლები დასახელდა, განსაკუთრებით ფასების ზრდისა და ინფლაციის გათვალისწინებით. დაბალი შემოსავლების მქონე ოჯახები საჭიროებენ: დასაქმებას, გადამზადების და შემოსავლების მომტანი საქმიანობის წახალისება / მხარდაჭერას, გამოკითხულ პირთა განმარტებით არსებული შემოსავლები იმდენად დაბალია, რომ ვერ უზრუნველყოფს ოჯახის საჭიროებების დაკმაყოფილებას. სიღარიბეში მცხოვრები ბავშვიან ოჯახებთან მიმართებით არსებული პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთ გზად დასახელდა ისეთი ფონდის შექმნა რომელიც შესაძლებლობას მისცემს მუნიციპალიტეტს თითოეული ბავშვიანი ოჯახის ინდივიდუალური საჭიროებების საპასუხოდ იმოქმედოს და ადგილობრივ დონეზე ეფექტურად გადაწყვიტოს პრობლემა.

ამასთანავე კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა ისეთი გარემოება, რომ არსებული სოციალური დახმარების სისტემა რომელიც გათვლილია ადამიანებისთვის ფულად გასაცემელზე ხშირად იწვევს მათ გაპასიურებას და აქცევთ მათ სოციალური დახმარების პასიურად მიმღებ პირებად. მოსახლეობის მითითებით პრობლემურია ისიც, რომ კონკრეტული სოციალური პროგრამები არის ერთჯერადი ხასიათის, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ოჯახის საჭიროებების გრძელვადიანად დაკმაყოფილებას და მათ გაძლიერებას იმგვარად, რომ თავი დააღწიონ სიღარიბეს.

ანკეტური გამოკითხვის საფუძველზე დადგინდა რომ სტატისტიკურად ყველაზე მეტი პირი მოხვდა ღარიბი ბავშვიან ოჯახების კატეგორიაში, მუნიციპალიტეტის მხრიდან ოჯახების მხარდასაჭერად შესაბამისი ღონისძიებებია ოჯახების უმრავლესობა არის სოციალურად დაუცველი და იღებს კანონით გათვალისწინებულ სოციალურ შემწეობას, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა განპიროვნებულია ოჯახის წევრების დასაქმების პრობლემით ან/და დასაქმებულთა დაბალი ანაზღაურებით, კვლევის შედეგად გამოიკვეთა ისეთი საჭიროებები როგორიცაა სათანადო საკვების აუცილებლობა, ტანსაცმელი, საკითხავი ლიტერატურა, საკანცელარიო და საყოფაცხოვრებო ნივთები, ინტერნეტ სერვისებით სარგებლობაზე მისაწვდომობა.

საჭიროებათა კვლევის შედეგად გამოკვეთილი ფაქტების გაანალიზების შედეგად არა მარტო ბავშვიან ოჯახების დახმარების კუთხით საჭირო პროგრამებში მოხდა ცვლილების შეტანა არამედ მთლიანად გადაიხედა სოციალური პროგრამის ეფექტურობა და დაისახა ისეთი პროექტების და პროგრამების განხორციელება რომელიც მაქსიმალურად ოჯახების საჭიროებაზე იქნებოდა მორგებული. პროგრამების შესადგენად საჭირო ინფორმაცია არ დაემყარა მხოლოდ სტატისტიკურ ინფორმაციას არამედ რეალურად ადგილზე საკუთარი თვალით დანახული საჭიროებების მოგვარებაზე გახდა ორიენტირებული.

**მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები:**

(ამ ნაწილში მოცემული უნდა იყოს პროექტის განმახორციელებლის რჩევები და მოკლე გზამკვლევი იმათთვის, ვინც ეცდება აღნიშნული წარმატებული პრაქტიკა დანერგოს თავის მუნიციპალიეტეტში)

<u>აღნიშნული პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის საჭიროა გუნდური მუშაობა, კომუნიკაცია როგორც არასამთავრობო ასევე სამთავრობო სექტორთან. მერის წარმომადგენლებთან და ასევე მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან.</u>

- **წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები** (მ.შ.: კონკრეტული მუნიციპალიტეტისათვის სპეციფიკური ფაქტორების ჩათვლით);

წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორებიდან უმნიშვნელოვანესი იყო კვალიფიციური თანამშრომლებით დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფი, მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილების მიმღები პირების გვერდში დგომა საქმიანობის ყველა ეტაპზე, მნიშვნელოვანია ასევე ფოკუსჯგუფების სწორად შედგენა და მათთან საკონსულტაციო შეხვედრები.მუნიციპალიტეტის საკრებულოს მხარდაჭერა პროგრამის დამტკიცებაში, თავად პროგრამის განხორციელებაში მნიშვნელოვანია დაინტერესებული მხარეების აქტიურობა, მათ სორის არასამთავრობო ორგანიზაციებეის რომლებსაც შესაძლებლობა აქვთ მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით არაერთი მნიშვნელოვანი აქტივობა განახორციელონ ბავშვიანი ოჯახებისთვის. ასევე მნიშვნელოვანია თვად ბენეფიციარების შეფასება შემდგომ უკვე დამტკიცებულ პროგრამასთან დაკავშირები რამდენად უპასუხა იმ გამოწვევას პროგრამამ რომელიც საჭიროებათა კვლევის დროს გაჩნდა ბენეფიციარს, ამ მიზნით ყოვეკვარტალურად მიმდინარეობს მუნიციპალური პროგრამით მოსარგებლებთან ვიზიტი და გარდა გაცემული თანხის მიზნობრივად გამოყენების შეფასებისა ხდება იმის ანალიზი რამდენად უპასუხა პროგრამამ კონკრეტული ბენეფიციარის საჭიროებას და ხედავს თუ არა მუნიციპალიტეტი შემდგომში მისი შეცვლის საჭიროებას, ამ პროცესს წარმართავს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება, რომელიც შემდგომ მოხსენებას წარუდგენს სოციალური საკითხების განმხილველ სამუშაო ჯგუფს.

**ინფორმაცია პრაქტიკის/ინიციატივის მდგრადობის შესახებ** (გთხოვთ, მიყვეთ პუნქტობრივად):

ა) პროექტის შედეგად მუნიციპალური სერვისის მიწოდებაში ასახული ცვლილება;

კვლევის შედეგად შედგენილი 2023 წლის მუნიციპალური პროგრამით გაიზარდა ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამისთვის გათვალისწინებული თანხა, ბიუჯეტით გათვალისწინებული იქნა 48 500 ლარი, ასევე უკვე არსებულ პროგრამას დაემატა კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ ბავშვიან ოჯახებს არაუმეტეს 2000 ლარის ფარგლებში დახმარების ქვეპროგრამა.

მუნიციპალიტეტის მხრიდან დაფინანსდა დღის ცენტრში იმ ბავშვების მომსახურება რომელიც სსმ სტატუსს ატარებდა და დაფინანსება 7 000 ლარის ოდენობით მიეცა დღის ცენტრს „ბაოს“.

ოჯახებში ჩატარებული კვლევის შედეგად ის პირები რომელთაც შესაძლებლობა და უნარები გააჩნდათ საზოგადოებრივი დასაქმების პროგრამაში ჩართვის შეირჩნენ ბავშვიანი ოჯახებიდან და მუნიციპალიტეტის საჭიროებისამებრ ჩაერთვნენ დასაქმების პროგრამაში მათ შორის მარტოხელა დედები და მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების მქონე ბავშვების მშობლები.

ასევე მუნიციპალიტეტმა დააფინანსა 10 000 ლარით შშმ პირთა რეაბილიტაციის ცენტრი ა(ა) იპ ერთად რეალური ცვლილებებისთვის რომელიც ემსახურება როგორც პატარა ასაკის ასევე ზრდასრულ შშმ პირებს, 2024 წლიდან იგეგმება მუნიციპალიტეტის მხრიდან ცენტრის ფინანსური მხარდაჭერის გაზრდა რადგანაც ხელი შეეწყოს შშმ ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის პროგრმის განხორციელებას, ცენტრი აღჭურვილია საჭირო ტექნიკით და მიმდინარეობს სპეციალისტის გადამზადება, როგორც საჭიროებათა კვლევის დროს დადგინდა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ აუტისტური სპექტრის დარღვევების მქონე ბავშვებისთვის საჭიროა არსებობდეს ქცევითი მართვის, იგივე ABA თერაპიის მომსახურების შესაძლებლობა; სმენისა და მეტყველების შეფერხების მქონე ბავშვებისთვის საჭიროა ადგილზე მომსახურების მიწოდება ამ მხრივ აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა მუნიციპ[ალიტეტსა და ადგილზე მყოფ ორგანიზაციებს შორის.

ბ) პროექტის შედეგად ადგილობრივ ბუჯეტში ასახული ცვლილება;

2023 წლის ბიუჯეტში გაიზარდა ბავშვტა პროგრამისთვის განკუთვნილი თანხა და ასევე აისახა დღის ცენტრთან და ა(ა)იპ „ერთად რეალური ცვლილებებისთვის“ დაფინანსების თანხა, 2024 წლიდან კიდევ იზრდება დაფინანსება ბავშვთა პროგრამისთვის 53 000 ლარი, ორმაგდება შშმ პირთა სარეაბილიტაციო ცენტრის დახმარება და კვლავ გაგრძელდება დღის ცენტრის თანადაფიანანსება.

გ) მოსახლეობის მხარდაჭერა;

მოსახლეობა გამოხატავს მხარდაჭერას დადებითი ცვლელებების გამო

დ) შეტანილია თუ არა პროექტი მომავალი წლის ბიუჯეტში;
მომავალი წლის ბიუჯეტში შეტანილია პროექტი.

9. **საკრებულოს როლი:**
   - **პროექტის/ინიციატივის დაგეგმვის, განხორციელების, შედეგების შეფასების საკითხში;**
     საკრებულოს როლი პროექტის შედეგების დაგეგმვის განხორციელებაში დადებითია
   - **საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის კონკურსში მონაწილეობისათვის პროექტის/ინიციატივის შერჩევის საკითხში;**
     საკრებულოს როლი დადებითია.
   - **როგორი იყო საკრებულოში არსებული ფრაქციების დამოკიდეულება ამ პრაქტიკის/ინიციატივის მიმართ;**

     არსებული ფრაქციების დამოკიდებულება ამ პრაქტიკის/ინიციატივის მიმართ არის დადებითი, მაქსიმალური მხარდაჭერა

10. **პრატიკასთან/ინიციატივანსთან ან ამავე საკითხთან დაკავშირებული, სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა;**

მუნიციპალიტეტი აპირებს ეს მეთოდოლოგია გამოიყენოს ახალ სამიზნე ჯგუფებთან მუშაობის პროცესში მუნიციპალური პროგრამების სწორად დაგეგმვისა და შემუშავებისათვის. 2024 წლის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების შედგენისას მოხდა ანკეტური სახით სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების გამოკითხვა ასევე, აპირებს 3-4 წლის შუალედით განმეორებით ჩაატაროს კვლევები ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების შეცვლილი საჭიროებების გამოსავლენად და მუნიციპალური პროგრამების განახლებულ საჭიროებებზე მოსარგებად. 2024 წლიდან იგეგმება მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ პირების საჭიროების კვლევის ჩატარება კონკრეტულად მათ საჭიროებებზე მორგებული პროგრამებისა და მომსახურების სფეროს გამოკვეთა.

**საკონტაქტო ინფორმაცია:**

- **განაცხადის შევსებაზე პასუხისმგებელი პირის მონაცემები:** სახელი, გვარი, თანამდებობა, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ-ფოსტა);

  მანანა გოგობერიშვილი ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების კოორდინატორი T: 557 43 45 07; mgogoberiSvili12@gmail.com

- **პროექტის საკონტაქტო პირების მონაცემები**: იმ პირთა სახელი, გვარი, სამსახურებრივი პოზიცია, ტელეფონი, ელ.ფოსტა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში და,

საჭიროების შემთქვევაში, შეუძლიათ პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მიაწოდონ დაინტერესებულ პირებს.

მზია მიქაუტაძე ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების სოციალური მუშაკი. T: 551 20 31 41; mziamiqautadze12345@gmail.com

თამარ მახალდიანი ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების ინსპექტორი T: 599 33 83 30; tamarmakhaldiani.1984@gmail.com

პროექტის განხორციელების, სხდომების, მოსახლეობასთან შეხვედრების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა ან შესაბამისი ლინკი.

https://www.facebook.com/TheNationalAssociationofLocalAuthoritiesofGeorgia?__cft__[0]=AZWpUd5Hx9d5ABQGtzJJtFYHH2JkoBGfQ0XmE6uGzuxNEEWLhdZh5vUr09aRH1PFBiWLY3B88fG5NuMcX7kRJctnuUI2Hg7dmPEMZ_gqGV1LCYZRw3E52DniivQfMc1YvALHqiXQvtbREww9GCTX41R3TVQ95P-pJjCe-wJlVTs9h177iLC01YyOU72SEePH6HuHgI5Vpe8F8c-d24HOU4xj&__tn__=-UC%2CP-y-R

https://www.facebook.com/TheNationalAssociationofLocalAuthoritiesofGeorgia?__cft__[0]=AZUnCXxgEKMiU3Mw-Db3X7YO0WpL71HY0G6KUkEXgoIjNZkR_aW0ivg-lnhUEij4xlUoT2F9OA8y3KC0lN_2N1AGFiwp39cuGhbvju-5fPcXyE9dcO24Ir9Wu9C2p5n-IDtvqbLlyEP-sCTSAEOOyDt8e8ZYzfaTF1UVCU0qFp_FiDmn0ydaXONKMqIY7ENwoRbpIXgXOiHPDTQ-R8a2Iaj-&__tn__=-UC%2CP-y-R

https://www.facebook.com/unicefgeorgia?__cft__[0]=AZV7Yiml2PdxPISBroXptdqpqRIl-Puakd5A0dWGPQ65wkQfM_XXUQbr_sBa532NXq7VzjAZ_pBtIBYwdehs3VscwpWAeqOUDmVEp1yxUEPV4ccawtBpSMldJc6utH9P6m5SKUhFnDlYq3f5d6KZf_g0Dh8xbufx-A5YPf7F18DJWxt6_Gz7z56TXsUXHKuhATBHxQDtDe0_VXV82YQCccBT&__tn__=-UC%2CP-y-R













*განაცხადის მიღების ვადაა 2023 წლის 10 ოქტომბერი- 17 ნოემბერი.*

*შევსებული განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია გთხოვთ ატვირთოთ ვებ-პორტალზე* bestpractice.nala.ge

- **შენიშვნა:** განაცხადის შევსებასთან დაკავშირებით კითხვების არსებობის შემთხვევაში დაუკავშირდით ნინო ზურაბიშვილს ტელ.: 5 95 57 77 34 nzurabishvili@nala.ge ან ელენე ჩხეიძეს ტელ.: 555 23 53 33 echkheidze@nala.ge

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:ბ76.76221458
თარიღი:25/05/2022

საქართველო, ქალაქი ამბროლაური

**ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დეგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის სამუშაო ჯგუფის შექმნისა და სამუშაო ჯგუფის დებულების დამტკიცების შესახებ**

მუნიციპალიტეტის ტერირტორიაზე მხცოვრები მოწყვლადი ჯგუფების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებებზე ორიენტირებული სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე" ქვეპუნქტის, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბრის N 09 დადგენილებით დამტკიცებული „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების" მე-9 მუხლის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. შეიქმნას ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დეგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე ჯგუფების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

**1.1 მამუკა ხიმშიაშვილი** - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის მოადგილე სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე;

**1.2 თამარ ქევანაშვილი** - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის დროებითი ფუნქციის შემსრულებელი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე;

**1.3 მანანა გოგობერიშვილი** - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

**1.4 მარინა ვაჩაძე** - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის სოციალური დაცვის განყოფილების ხელმძღვანელი.

**1.5 კახაბერ ნეფარიძე** - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის

ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელთა კოორდინაციის განყოფილების ხელმძღვანელი.

**1.6 თამარ ობოლაშვილი** - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის განყოფილების ხელმძღვანელი.

**1.7. სოფიო სხირტლაძე** - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

**1.8 ირაკლი კობახიძე-** ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის საბიუჯეტო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

**1.9 მზია მიქაუტაძე** - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი (სოციალური მუშაკი).

**1.10 თამარ მახალდიანი** - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი (ინსპექტორი).

2. სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყოს ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დეგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის ჩატარება, ამ ბრძანებით დამტკიცებული სამიზნე ჯგუფების მიხედვით:

2.1 სამიზნე ჯგუფი - „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი (სტატუსის მქონე/ სტატუსის არმქონე), აგრეთვე განვითარების სირთულის მქონე ბავშვი".

2.2 სამიზნე ჯგუფი - „მშობლის მზრუნველობას მოკლებული ბავშვი (მ.შ.: ობოლი ან მარჩენალდაკარგული ბავშვი, მშობლის მიგრაციის გამო ნათესავებთან დროებით მცხოვრები ბავშვი)".

2.3 სამიზნე ჯგუფი - „ბავშვი ღარიბი ოჯახიდან, რომლის მშობელი/მეურვე არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი".

2.4 სამიზნე ჯგუფი - „ღარიბი ბავშვიანი ოჯახი (სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე/სტატუსის არმქონე) და ღარიბი მრავალშვილიანი ოჯახი".

2.5 სამიზნე ჯგუფი - „ძალადობის მსხვერპლი ბავშვი".

3. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარეს მიენიჭოს უფლებამოსილება, სამუშოა ჯგუფის შემადგენლობაში დამატებით წევრად და სათათბირო ხმის უფლებით მოიწვიოს დაინტერესებული მხარის წარმომადგენელი, ექსპერტი ან კონსულტანტი.

4.დამტკიცდეს სამუშაო ჯგუფის დებულება დანართი 1-ის შესაბამისად;

5. დამტკიცდეს საჭიროებათა კვლევის კალენდარი დანართი 2-ის შესაბამისად;

6. დამტკიცდეს მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის მეთოდოლოგიის დოკუმენტი დანართი 3-ის შესაბამისად;

7.მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დეგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის ანგარიშის წარდგენის ვადად განისაზღვროს მიმდინარე წლის 1 ივლისი;

8. საჭიროებათა კვლევის პროცესში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების სტანდარტების დაცვაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი;

9. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად;

10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში. (ქ. ამბროლაური კოსტავას ქ. №13 )

11.ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ზვიადი მხეიძე

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია- მუნიციპალიტეტის მერი

**დანართი 2**

**საჭიროებათა კვლევის ეტაპების კალენდარი**

| საქმიანობის ეტაპი | ხანგრძლივობა | ვადა |
|---|---|---|
| **საჭიროებათა კვლევის სამუშაო ჯგუფის პირველი სხდომა, ფუნქციების განაწილება** | | 25 მაისი |
| **საინფორმაციო კამპანია** | პერიოდულად | 27 მაისი - 9 სექტემბერი |
| **საჭიროებათა კვლევა (სრული ციკლი)**<br>მათ შორის: | 15 კვირა | 30 მაისი - 9 სექტემბერი |
| **1. მონაცემთა მოძიება და ანალიზი** | 6 კვირა | 30 მაისი - 1 ივლისი |
| 1.1. სტატისტიკური მონაცემების მოძიება და ანალიზი | | 30 მაისი - 1 ივლისი |
| 1.2. სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლების გამოვლენა/იდენტიფიკაცია საჭროებათა კვლევაში მათი ჩართვის მიზნით; დაინტერესებული მხარეების იდენტიფიკაცია | | 30 მაისი - 1 ივლისი |
| **2. ლიტერატურის კველვა** | 6 კვირა | 30 მაისი - 1 ივლისი |
| **3. სოციოლოგიური კვლევა** | 4 კვირა | 13 ივნისი - 11 ივლისი |
| 3.1. სამიზნე ჯგუფების წარმომადგენლებთან (რესპონდენტებთან) ინტერვიუ, შეხვედრა, ფოკუს-ჯგუფი | | 13 ივნისი - 11 ივლისი |
| 3.2. საჯარო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი | | 13 ივნისი - 11 ივლისი |
| **4. მონაცემთა დახარისხება, დაკვირვება და** | 2 კვირა | 11 ივლისი - 22 |

| | | |
|---|---|---|
| შემთხვევათა ანალიზი | | ივლისი |
| 5. საჭიროებათა კვლევისას მიღებული მონაცემების დამუშავება და ანალიზი | 3 კვირა | 22 ივლისი - 5 აგვისტო |
| 6. კვლევის მიგნებების საფუძველზე პრიორიტეტების გამოვლენა ფოკუს-ჯგუფის საშუალებით | 1 კვირა | 5 აგვისტო - 12 აგვისტო |
| 7. საჭიროებათა კვლევის პირველადი ანგარიშის საჯარო განხილვა | 1 კვირა | 12 აგვისტო - 19 აგვსიტო |
| 8. საჭიროებათა კვლევის საბოლოო ანგარიში | 1 კვირა | 22 აგვისტო - 29 აგვისტო |
| 9. პროგრამის პროექტის წარდგენა | | 15 ნოემბერი 2022 წ. |
| 10. პროგრამის პროექტის დამტკიცება | | 25 დეკემბერი 2023 წელი |
| 11. მონიტორინგი | 2023წლის იანვარი | 2023 წლის დეკემბერი |

**ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის სამუშაო**

**სხდომის ოქმი N1**

ქ. ამბროლაური

25 მაისი 2022 წელი

2022 წლის 25 მაისს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაში გაიმართა ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის სამუშაო ჯგუფი სხდომა.

*სხდომას ესწრებოდნენ:*

- **მამუკა ხიმშიაშვილი** - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე;
- **თამარ ქევანაშვილი** - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის დროებითი ფუნქციის შემსრულებელი, სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე;
- **მანანა გოგობერიშვილი** - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;
- **მარინა ვაჩაძე**- მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის სოციალური დაცვის განყოფილების ხელმძღვანელი;
- **კახაბერ ნეფარიძე**- მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელთა კოორდინაციის განყოფილების ხელმძღვანელი;
- **თამარ ობოლაშვილი**- ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის , სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის განყოფილების ხელმძღვანელი;
- **ირაკლი კობახიძე** - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის საბიუჯეტო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- **მზია მიქაუტაძე** - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ( სოციალური მუშაკი);
- **თამარ მახალდიანი** - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ( ინსპექტორი).

სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ მამუკა ხიმშიაშვილმა სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა. მან სამუშაო ჯგუფის წევრებს მადლობა გადაუხადა დასწრებისთვის და გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც ჯგუფმა ერთხმად დაამტკიცა.

*დღის წესრიგი:*

1. *სამუშაო ჯგუფის მდივნის არჩევა.*
2. *სამუშაო ჯგუფის მუშაობის გეგმის შედგენა და ფუნქციების გადანაწილება ჯგუფის წევრებს შორის.*

**საკითხი 1:**

**მოისმინეს: მამუკა ხიმშიაშვილმა** ოქმის შედგენის მიზნით, სხდომის მდივნის კანდიდატურად დაასახელა „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების“ ხელმძღვანელი მანანა გოგობერიშვილი.

**კენჭისყრის შედეგი:** გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

*დაადგინეს :* სხდომის მდივნად არჩეული იქნას მანანა გოგობერიშვილი.

**საკითხი 2:**

*მოისმინეს:* მამუკა ხიმშიაშვილმა სამუშაო ჯგუფის წევრებს გააცნო მერის ბრძანებით შერჩეული სამიზნე ჯგუფები, რომლებიც მერის წარმომადგენლების მიერ სპეციალურად შემუშავებული ანკეტის საშუალებით უნდა იქნას გამოკითხული, მიღებული მონაცემები გამოყენებული იქნება 2023 წლის მუნიციპალური პროგრამის შემუშავებისთვის. გამოსაკითხი სამიზნე ჯგუფებია:

- „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი (სტატუსის მქონე/სტატუსის არმქონე), აგრეთვე განვითარების სირთულის მქონე ბავშვი“.
- მშობლის მზრუნველობას მოკლებული ბავშვი (მ.შ.: ობოლი ან მარჩენალდაკარგული ბავშვი, მშობლის მიგრაციის გამო ნათესავებთან დროებით მცხოვრები ბავშვი).
- „ბავშვი ღარიბი ოჯახიდან, რომლის მშობელი/მეურვე არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი“.
- „ღარიბი ბავშვიანი ოჯახი (სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე/სტატუსის არმქონე) და ღარიბი მრავალშვილიანი ოჯახი“.
- „ძალადობის მსხვერპლი ბავშვი“.

*აზრი გამოთქვა:* მარინა ვაჩაძემ აღნიშნა, რომ მერიის სოციალურ სამსახურს აქვს ბაზა ბრძანებით დამტკიცებული სამიზნე ჯგუფების შესაბამისად, მათ შორის შშმ ბავშვები, მარტოხელა მშობელი, მარჩენალდაკარგული და ობოლი ბავშვები, მარინა ვაჩაძემ აზრი გამოთქვა, რომ არიან ოჯახები აღნიშნული კატეგორიის მქონე, რომლებიც არ არიან რეგისტრირებული მუნიციპალიტეტის

სამოქმედო ტერიტორიაზე და შესაბამისად ვერ იღებენ დახმარებას და არ არიან ბაზაში. ამიტომ არის საჭირო მოკვლევა.

*აზრი გამოთქვა:* თამარ ქევანაშვილმა აღნიშნა რომ ბრძანებით დამტკიცებულია სპეციალური ფორმა რომელიც მერის წარმომადგენლებმა უნდა შეავსონ სამიზნე ჯგუფების მიხედვით, მერიაში წარმოდგენის შემდგომ მოხდება რაოდენობრივი დაჯგუფება და განისაზღვრება ის რაოდენობა რომელიც სპეციალური ანკეტის სახით უნდა იქნას გამოკითხული უშუალოდ წარმომადგენლის მიერ მნიშვნელოვანია მუშაობის პროცესში დაცული იქნას პერსონალური მონაცემები და არ მოხდეს გამოკითხული პირების პირადი ინფორმაციის გამჟღავნება. ასევე მნიშვნელოვანია ისეთი პირების გამოვლენა, რომლებსაც ჯერ არ მიუმართავთ შესაბამისი უწყებისთვის სოციალურად დაუცველის ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის სტატუსის მიღების მიზნით, თუმცა სავარაუდოდ შეიძლება აკმაყოფილებდნენ სტატუსის მინიჭებისთვის დადგენილ კრიტერიუმებს. წარმომადგენლებს უნდა მიეცეთ ვადა ინფორმაციის წარმოდგენისთვის რადგანაც ბრძანებით გაწერილი გრაფიკის შესაბამისად 1 ივლისისთვის უკვე სამუშაო ჯგუფს შეჯამებული უნდა ჰქონდეს მიღებული ინფორმაციები.

**აზრი გამოთქვა:** მამუკა ხიმშიაშვილმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში სამიზნე ჯგუფების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევა ჩატარდება დამტკიცებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, ასევე ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ კვლევის შედეგად ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და დასაგეგმი მუნიციპალური პროგრამების ძირითადი მიმართულებები უნდა გამოიკვეთოს, ამიტომ მნიშვნელოვანია დროში თანხვედრა მოხდეს პრიორიტეტის დოკუმენტის შედგენის საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფთან. რადგანაც მერის წარმომადგენლებს არ გააჩნიათ ბავშვებთან ურთიერთობისთვის საჭირო ის სპეციფიკური გამოცდილება რაც სამიზნე ჯგუფში შერჩეული ბავშვებისგან ანკეტით გათვალისწინებული ინფორმაციის მისაღებადაა საჭირო მიზანშეწონილია წარმომადგენლებთან ერთად ჩაერთონ ბავშვთა დაცვის განყოფილების თანამშრომლები მზია მიქაუტაძე, თამარ მახალდიანი, მანანა გოგობერიშვილი, ხოლო წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი მონაცემების ექსელის ცხრილში ინფორმაციას შეიტანენ მარინა ვაჩაძე და თამარ ობოლაშვილი.

**დაადგინეს:**

1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებს მიეცეთ 2 კვირის ვადა სამიზნე ჯგუფების შესახებ ინფორმაციის ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებაში წარმოდგენის, კონტროლი დადგენილ ვადაში ინფორმაციის წარმოდგენაზე განახორციელოს კახაბერ ნეფარიძემ.
2. ბავშვთა დაცვის განყოფილებამ და სოციალური განყოფილების მიერ წარმოდგენილი იქნას თითოეული სამიზნე ჯგუფის მიხედვით მუნიციპალური პროგრამით სარგებლობის რაოდენობრივი მონაცემების არსებული პროგრამებისა და მიმართვიანობის სტატისტიკის ანალიზი.

სხდომის თავმჯდომარე: მამუკა ხიმშიაშვილი

სხდომის თავმჯდომარის მოადგილე: თამარ ქევანაშვილი

სხდომის წევრები: მარინა ვაჩაძე

კახაბერ ნეფარიძე

თამარ ოზოლაშვილი

ირაკლი კოზახიძე

მზია მიქაუტაძე

თამარ მახალდიანი

სხდომის მდივანი: მანანა გოგოზერიშვილი

**ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის სამუშაო**

**სხდომის ოქმი N2**

**ქ. ამბროლაური**

**14 ივნისი 2022 წელი**

2022 წლის 14 ივნისს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაში გაიმართა ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის სამუშაო ჯგუფი სხდომა.

*სხდომას ესწრებოდნენ:*

- **თამარ ქევანაშვილი** - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის დროებითი ფუნქციის შემსრულებელი, სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე;
- **მანანა გოგობერიშვილი** - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;
- **მარინა ვაჩაძე**- მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის სოციალური დაცვის განყოფილების ხელმძღვანელი;
- **კახაბერ ნეფარიძე**- მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელთა კოორდინაციის განყოფილების ხელმძღვანელი;
- **თამარ ობოლაშვილი**- ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის , სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის განყოფილების ხელმძღვანელი;
- **ირაკლი კობახიძე** - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის საბიუჯეტო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- **მზია მიქაუტაძე** - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ( სოციალური მუშაკი);
- **თამარ მახალდიანი** - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ( ინსპექტორი).
- **სოფიო სხირტლაძე**-მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილემ თამარ ქევანაშვილმა სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა. მან სამუშაო ჯგუფის წევრებს მადლობა გადაუხადა დასწრებისთვის და გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც ჯგუფმა ერთხმად დაამტკიცა.

*დღის წესრიგი:*

1. **მერის წარმომადგენლების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის განხილვა კონკრეტული სამიზნე ჯგუფების შესახებ;**
2. **სამიზნე ჯგუფებში გამოვლენილი ბავშვების შესაბამისად ანკეტის სახით გამოსაკითხი რაოდენობის განსაზღვრა.**

**მოისმინეს:** თამარ ქევანაშვილმა სამუშაო ჯგუფის წევრებს გააცნო მერის წარმომადგენლების მიერ პირველადი აღრიცხვის ფორმაში შეტანილი მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების შესახებ წარმომადგენელთა მიერ მოწოდებული ინფორმაცია ჯამში 131 ბავშვის შესახებ (ცხრილი ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით ახლავს ოქმს)

- „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი (სტატუსის მქონე/სტატუსის არმქონე)-25;
- განვითარების სირთულის მქონე ბავშვი“- 4;
- მშობლის მზრუნველობას მოკლებული ბავშვი (მ.შ.: ობოლი ან მარჩენალდაკარგული ბავშვი, მშობლის მიგრაციის გამო ნათესავებთან დროებით მცხოვრები ბავშვი)- ობოლი-2, ნათესავებთან დროებით მცხოვრები-5, მარჩენალდაკარგული-20;
- „ბავშვი ღარიბი ოჯახიდან, რომლის მშობელი/მეურვე არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი“-5;
- „ღარიბი ბავშვიანი ოჯახი (სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე/სტატუსის არმქონე) 26; ღარიბი მრავალშვილიანი ოჯახი“-46;
- „ძალადობის მსხვერპლი ბავშვი“-0

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით ყველაზე მეტი ბავშვი მოხვდა ღარიბი ბავშვიანი ოჯახების სამიზნე ჯგუფში, მუნიციპალიტეტი უკვე წლებია სოციალურ პროგრამას ახორციელებს მარჩენალდაკარგულ, მრავალშვილიან ოჯახებზე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებზე, რაც შეეხება ღარიბი ბავშვიანი ოჯახების დახმარებას 2022 წლის 01 იანვრიდან ამოქმედდა ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც გულისხმობს სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარებას, მათ შორის მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარებასა, პროგრამა გათვლილი იყო 57 ბენეფიციარზე, როგორც წარმოდგენილი ინფორმაციით ჩანს იმ ბავშვების რაოდენობა რომელიც საჭიროებს მუნიციპალიტეტიდან დახმარებას გაზრდილია.

**მოისმინეს:** მარინა ვაჩაძემ აღნიშნა რომ მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამით სარგებლობს 124 მრავალშვილიანი ოჯახი, 32 მარჩენალდაკარგული ბავშვი, რომელთაგანაც 2 ამ ეტაპზე არ იმყოფება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და 15 შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვი.

**საკითხი 2:**

*მოისმინეს:* თამარ ქევანაშვილმა სამუშაო ჯგუფის წევრებს გააცნო ანკეტების ფორმა და მოკლე ინსტრუქცია ინტერვიუერისთვის, ასევე სამუშაო ჯგუფის წევრებს სთხოვა სამიზნე ჯგუფების შესაბამისად ემსჯელათ იმ რაოდენობაზე რომელიც უნდა გამოკითხოს ანკეტის სახით.

წარმომადგენლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით სამიზნე ჯგუფებში გადანაწილებული ბავშვების რაოდენობა შეადგენს 131 მაგრამ სოციალური სამსახურის მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემებით მარჩენალდაკარგულთა რაოდენობა არ ემთხვევა წარმომადგენლების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, წარმომადგენლების ინფორმაციის შეჯამებით მარჩენალდაკარგულია 20 ბავშვი ხოლო სოციალური სამსახურის მონაცემებით 32 (ორი არ ცხოვრობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე) ამიტომაც მიზანშეწონილია სამიზნე ჯგუფის კონკრეტულ ქვეჯგუფში შევიყვანოთ 30 ბავშვი და ისე გამოვიყვანო ანკეტის სახით გამოსაკითხთა რაოდენობა. (სულ ბავშვები 141)

*აზრი გამოთქვა:* კახაბერ ნეფარიძემ აღნიშნა, რომ ინტერვიუს ჩასაწერად მერის წარმომადგენლებთან ერთად კარგი იქნება, ჩაერთონ სამუშაო ჯგუფის წევრები.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე მოხდა რაოდენობრივი დაჯგუფება და განისაზღვრა ის რაოდენობა ჯამში 50 რესპოდენტი, რომელიც სპეციალური ანკეტის სახით უნდა იქნას გამოკითხული უშუალოდ წარმომადგენლის მიერ:

1. **მშობლის მზრუნველობას მოკლებული ბავშვის სამიზნე ჯგუფის კატეგორიიდან 9 რესპოდენტი:**
   *- მარჩენალდაკარგული უნდა გამოიკითხოს 8 რესპოდენტი შემდეგი ადმინისტრაციული ერთეულებიდან - ლიხეთი-1, ბუგეული-2, ხვანჭკარა-1, ქ. ამბროლაური-1; წესი-1. ნიკორწმინდა-1, იწა-1.*
   *- ობოლი 1 რესპოდენტი ქ. ამბროლაურში;*
   *- ნათესავებთან დროებით მცხოვრები- 2 რესპოდენტი - ჭელიაღელე-1, ხვანჭკარა-1;*
   *-განვითარების სირთულის მქონე ბავშვი-1 რესპოდენტი ჭყვიში;*
2. **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი (სტატუსის მქონე/სტატუსის არმქონე), აგრეთვე განვითარების სირთულის მქონე ბავშვის სამიზნე ჯგუფის კატეგორიიდან 11 რესპოდენტი შემდეგი ადმინისტრაციული ერთეულებიდან :**
   *- გამოიკითხოს შემდეგი ადმინისტრაციული ერთეულებიდან - ქ. ამბროლაური-3, იწა-1, სადმელი-2, ხვანჭკარა-2, ჭყვიში-1, ბუგეული-1.*

*3.* **„ბავშვი ღარიბი ოჯახიდან, რომლის მშობელი/მეურვე არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი სამიზნე ჯგუფის კატეგორიიდან გამოიკითხოს 1 რესპოდენტი ცახის ადმინისტრაციული ერთეულიდან.**

**4.ღარიბი ბავშვიანი ოჯახი (სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე/სტატუსის არმქონე) და ღარიბი მრავალშვილიანი ოჯახის სამიზნე ჯგუფიდან გამოიკითხოს 26 რესპოდენტი შემდეგი ადმინისტრაციული ერთეულებიდან :**

*- ღარიბი მრავალშვილიანი ოჯახიდან 16 რესპოდენტი ქ. ამბროლაური-3, ნიკორწმინდა -3, ხვანჭკარა-4, წესი-3, ღადიში-2.*

*- ღარიბი ბავშვიანი ოჯახი- 11 რესპოდენტი :ნიკორწმინდა-2, ჭრებალო-1, ქ. ამბროლაური-2, ნამანევი-1, ზნაკვა-2, ლიხეთი-1, სხვავა-1, ხიდიკარი-1;*

**დაადგინეს:**

სამიზნე ჯგუფების მიხედვით განსაზღვრული რესპოდენტების რაოდენობების შესაბამისად მერის წარმომადგენლებმა 2022 წლის 24 ივნისის ჩათვლით მოახდინონ ანკეტის სახით გამოკითხვა,

წარმომადგენლებს კიდევ ერთხელ განემარტოთ რომ მნიშვნელოვანია მუშაობის პროცესში დაცული იქნას ბავშვების პერსონალური მონაცემები და არ მოხდეს გამოკითხული პირების პირადი ინფორმაციის გამჟღავნება.

სამუშაო ჯგუფის წევრებმა დახმარება გაუწიონ მერის წარმომადგენლებს ანკეტის შევსებასთან დაკავშირებულ საკითხებში:

სამუშაო ჯგუფის წევრები დაიყო ოთხ ჯგუფად:

I ჯგუფი-თამარ მახალდიანი, მზია მიქაუტაძე( ცახი, ჭყვიში, ჭრებალო, ღადიში);

II ჯგუფი- თამარ ქევანაშვილი, მანანა გოგობერიშვილი (ლიხეთი, წესი, ხიდიკარი);

III ჯგუფი- სოფიო სხირტლაძე, თამარ ობოლაშვილი (ხვანჭკარა, ბუგეული,ზნაკვა, სადმელი);

IV ჯგუფი- ირაკლი კობახიძე, კახაბერ ნეფარიძე (ნამანევი, ნიკორწმინდა, ჭელიაღელე, სხვავა).

სამუშაო ჯგუფის წევრმა კახაბერ ნეფარიძემ უზრუნველყოს ოქმით მიღებული დავალების შესახებ მერის წარმომადგენლების ინფორმირება და ზედამხედველობა გაუწიოს დავალების მიღებულ ვადაში შესრულებას.

სამუშაო ჯგუფის წევრებმა მარინა ვაჩაძემ და სოფიო სხირტლაძემ უზრუნველყონ სოციალური დაცვის სფეროში ცენტრალური ხელისუფლების, საერთაშორისო ორგანიზაციების და არასამთავრობო სექტორის ანგარიშების გაცნობა (წყარო: ინტერნეტი, გამოქვეყნებული მასალები), ნორმატიული ბაზის შესწავლა ბავშვთა დაცვისა და ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და ასევე უკვე არსებული პრაქტიკის გაცნობა, რომელიც სამუშაო ჯგუფის მიერ გამოყენებული იქნება ანკეტების შევსების შემდგომ მიღებული მონაცემების დამუშავებისა და საჭიროებათა კვლევის ანგარიშის შედგენის პროცესში.

სხდომის თავმჯდომარის მოადგილე: თ. [signature] თამარ ქევანაშვილი

სხდომის წევრები: მ. [signature] მარინა ვაჩაძე

[signature] კახაბერ ნეფარიძე

[signature] თამარ ობოლაშვილი

[signature] ირაკლი კობახიძე

[signature] მზია მიქაუტაძე

თ. [signature] თამარ მახალდიანი

ს. [signature] სოფიო სხირტლაძე

სხდომის მდივანი: მ. [signature] მანანა გოგობერიშვილი

**ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის სამუშაო**

**სხდომის ოქმი N3**

**01 ივლისი 2022 წელი** **ქ. ამბროლაური**

2022 წლის 01 ივლისს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაში გაიმართა ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის სამუშაო ჯგუფი სხდომა.

*სხდომას ესწრებოდნენ:*

- **მამუკა ხიმშიაშვილი** - მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე;
- **თამარ ქევანაშვილი** - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის დროებითი ფუნქციის შემსრულებელი, სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე;
- **მანანა გოგობერიშვილი** - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;
- **მარინა ვაჩაძე-** მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის სოციალური დაცვის განყოფილების ხელმძღვანელი;
- **თამარ ობოლაშვილი-** ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის , სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის განყოფილების ხელმძღვანელი;
- **თამარ მახალდიანი** - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ( ინსპექტორი).
- **სოფიო სხირტლაძე**-მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ მამუკა ხიმშიაშვილმა სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა. მან სამუშაო ჯგუფის წევრებს მადლობა გადაუხადა დასწრებისთვის და გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც ჯგუფმა ერთხმად დაამტკიცა.

*დღის წესრიგი:*

*1.წარმომადგენელთა მიერ შევსებული ბენეფიციართა გამოკითხვის ანკეტებიდან მიღებული მონაცემების გაცნობა.*

*2.ლიტერატურისა და საკანონმდებლო ბაზის კვლევის შედეგების განხილვა.*

*3.მუნიციპალიტეტში მოქმედი პროგრამებისა და ბენეფიციარების შესახებ სტატისტიკური მონაცემების განხილვა.*

**მოისმინეს:** სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ მამუკა ხიმშიაშვილმა სამუშაო ჯგუფის წევრებთან ერთად განიხილა მერის წარმომადგენლის მიერ შევსებული ბენეფიციართა ანკეტები სულ გამოკითხული იქნა 66 ბენეფიციარი (41 ოჯახი).

თამარ მახალდიანმა წარმოადგინა ცხრილის სახით (რომელიც ერთვის ოქმს) ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში გამოკითხული ოჯახების რაოდენობა და ხაზი გაუსვა ბავშვთა საჭიროებებს. 18 ღარიბ ბავშვიან და მრავალშვილიან ოჯახში გამოიკვეთა შემდეგი საჭიროებები: საკვები, ტანსაცმელი, კლასგარეშე საკითხავი წიგნები, ინტერნეტი, საყოფაცხოვრებო ნივთები, სასწავლო მაგიდა, საკანცელარიო ნივთები, ველოსიპედი, საცურაო აუზი, მაცივარი. სამმა რესპოდენტმა უარი განაცხადა პრიორიტეტების დასახელებაზე.

**მოისმინეს:** მარინა ვაჩაძემ სხდომის წევრებს გააცნო ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურში ბავშვის დახმარების მიზნით მოქმედი პროგრამების შესახებ ინფორმაცია:

**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 0-დან 18 წლამდე ასაკი ბავშვის ერთჯერადი დახმარება**

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვის ერთჯერადი ფულადი დახმარება გაიცემა ოჯახზე /წარმომადგენელზე 300 (სამასი) ლარის ოდენობით.დღეის მდგომარეობით არის 15 ბენეფიციარი, სულ გაცემულია 4500 ლარი.

**მრავალშვილიან (სამი და მეტი 0-18 წლამდე ასაკის ბავშვი) ოჯახზე ერთჯერადი ფულადი დახმარება**

მრავალშვილიან (სამი და მეტი 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვი) ოჯახზე, გაიცემა ერთჯერადი ფულადი დახმარება 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით, დღეის მდგომარეობით 115 ოჯახზე გაცემულია 48 000 (ორმოცდარვა ათასი) ლარი.

**მარჩენალდაკარგული (0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვი) ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება**

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მარჩენალდაკარგულთა ერთჯერადი ფულადი დახმარება გაიცემა ოჯახზე/წარმომადგენელზე:

ა) ერთ-ერთი მშობლის გარდაცვალების შემთხვევაში - მშობელზე 300(სამასი) ლარის ოდენობით (32 ბენეფიციარი, გაცემულია 9600 (ცხრაათას ექვსასი) ლარი.

ბ) ორივე მშობლის გარდაცვალების შემთხვევაში - წარმომადგენელზე 600(ექვსასი) ლარის ოდენობით. (ერთი ოჯახია, გაცემულია 600 ლარი).

**მარტოხელა მშობლის ერთჯერადი ფინანსური დახმარება**

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მარტოხელა მშობელს, რომელსაც ჰყავს 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვი, მიეცემა ერთჯერადი ფინანსური დახმარება 300 (სამასი) ლარის ოდენობით. (დღეის მდგომარეობით გაცემულია 2 მარტოხელა მშობელზე 600 ლარი)

**მოისმინეს:** სოფიო სხირტლაძემ სამუშაო ჯგუფის წევრებს გააცნო მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურში მოქმედი პროგრამები:

- ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდულ ღონისძიებათა დაფინანსების პროგრამა. აღნიშნული პროგრამით 2021 წელს ისარგებლა 100-მდე ბენეფიციარმა. ჯამში პროგრამის განხორციელების თანხა - 13750 ლარი;
- ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებებზე წვდომის (სამგზავრო გადაყვანის) ხელშეწყობის პროგრამა. აღნიშნული პროგრამით 2021 წელს ისარგებლა 350-მდე ბენეფიციარმა. ჯამში პროგრამის განხორციელების თანხა - 15742 ლარი;
- ამბროლაურის მუნიციპალიტეტის განათლების სფეროში საპატიო წოდებების მინიჭებისა და განათლების ხელშეწყობის პროგრამა. პროგრამით განსაზღვრული ოქროს მედალოსანის პროგრამით ისარგებლა 5 ბენეფიციარმა, ვერცხლის მედალოსანის დახმარებით ისარგებლა 4 ბენეფიციარმა. ჯამში მედალოსნებზე გაიცა 3 000 ლარი. პრორამით განსაზღვრული კომპიუტერი (ლეპტოპი) გადაეცა 6 მოსწავლეს, ჭირებულებით 10200 ლარი.

**აზრი გამოთქვეს:** თამარ ქევანაშვილმა აღნიშნა, რომ რაც შეეხება ღარიბი ბავშვიანი ოჯახების დახმარებას 2022 წლის 01 იანვრიდან ამოქმედდა ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც გულისხმობს სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარებას, მათ შორის მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარებას, პროგრამა გათვლილი იყო 57 ბენეფიციარზე, როგორც წარმოდგენილი ინფორმაციით ჩანს იმ ბავშვების რაოდენობა რომელიც საჭიროებს მუნიციპალიტეტიდან დახმარებას გაზრდილია 73 ოჯახამდე.მონიტორინგის საფუძველზე გამოვლინდა სიღატაკეში მცხოვრები 57 ბავშვი, რომელთაც ესაჭიოროებათ მხარდაჭერა. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურმა გამოყო საბიუჯეტო თანხებიდან 28 500 (ოცდარვაათას ხუთასი) ლარი ბავშვების დასახმარებლად. თითოეულ ბავშვზე გაიცემა ერთჯერადად თანხა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

ასევე გვყავს ისეთი ოჯახი სოფელ წესში რომელიც იმყოფება მძიმე საცხოვრებელ პირობებში, სახლი მეწყრულია, ყავს სამი მცირეწლოვანი ბავშვი და კარგი იქნება, მუნიციპალიტეტმა იმუშაოს ისეთ პროგრამაზე, რომელიც საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას შეეხება.

მუნიციპალიტეტის მთავარ უფლებამოსილებას წარმოადგენს ბავშვს შეუქმნას ისეთი პირობები რომ შეუზღუდავად ჰქონდეს წვდომა სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებაზე, მერიაში შემოსული იყო სოფელ ჭელიაღელის მცხოვრებთა განცხადება, მშობლები რომლებსაც ბავშვები დარეგისტრირებული ყავს ჭელიაღელის საბავშვო ბაღში ვერ ახერხებდნენ ბავშვების ტრანსპორტირებას ბაღამდე, ჭელიაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში შედის 5 სოფელი თლუღი, ქვედა თლუღი, აგარა, უყეში, ჭელიაღელე და არის მხოლოდ ერთი საბავშვო ბაღი სოფელ ჭელიაღელეში, ისეთ შემთხვევაში როდესაც მუნიცპალური ტრანსპორტი გრაფიკით მოძრაობს მშობლებს უჭირთ ბავშვების ყოველდღიურად ტრანსპორტირება საბავშვო ბაღში. კარგი იქნება თუ პროგრამების შემუშავების დროს გათვალისწინებული იქნება აღნიშნული საკითხი, რადგანაც მსგავსი პრობლემა შესაძლოა კიდევ რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულს გააჩნდეს.

სამუშაო ჯგუფის წევრებმა მარინა ვაჩაძემ და სოფიო სხირტლაძემ სხდომის წევრებს გააცნეს სოციალური დაცვის სფეროში ცენტრალური ხელისუფლების, საერთაშორისო ორგანიზაციების და არასამთავრობო სექტორის ანგარიშები (წყარო: ინტერნეტი, გამოქვეყნებული მასალები).

**აზრი გამოთქვა:** სოფიო სხირტლაძემ აღნიშნა რომ ბავშვის სოციალური პოლიტიკის მხრივ ამბროლაურის მუნიციპალიტეტს საკამაოდ ფართო სპექტრი აქვს დახმარების. ამბროლაურის მუნიციპალიტეტი კოვიდ პანდემიამდე ახორციელებდა (პროგრამა ბოლოს განხორციელდა 2019 წელს) ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეთა საზაფხულო ბანაკის პროგრამას. 2019 წელს პროგრამით

ისარგებლა 13 ბენეფიციარმა. ჯამში 10 175 ლარი. პროგრამა დადებითად იქნა შეფასებული, ბავშვის უკეთესი გარემოს შესაქმნელად კარგი იქნება საზაფხულო ბანაკის პროგრამის აღდგენა.
სოფიო სხირტლაძემ ისაუბრა ბავშვთა დაცვის კუთხით არსებულ იმ სახელმწიფო პროგრამებზე რომელიც მუნიციპალიტეტში ხორციელდება, კერძოდ ბავშვზე ზრუნვისა და ახალგაზრდების მხარდაჭერის 2022 წლის სახელმწიფო პროგრამა მოიცავს დღის ცენტრებში მომსახურებით უზრუნველყოფისა და ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამას.
შემდგომში მუნიციპალიტეტის მიერ ბავშვზე მორგებული სოციალური პოლიტიკისა და სოციალური პროგრამების დაგეგმვისას მუნიციპალური და სახელმწიფო პროგრამებით გაცემული დახმარებების დუბლირების თავიდან აცილების მიზნით საჭიროა შესაბამისი ორგანოები ჩართული იყვნენ სამუშაო ჯგუფის მუშაობაში( წერილობითი მიმართვა, სხდომაზე მოწვევა).

**მოისმინეს:** თამარ ქევანაშვილმა აღნიშნა რომ სამუშაო ჯგუფის კალენდრის მიხედვით 2022 წლის 01 ივლისისთვის წარმოსადგენი იყო საჭიროებათა კვლევის ანგარიშის პირველადი ვერსია.
**მოისმინეს:** მამუკა ხიმშიაშვილმა აღნიშნა რომ საჭიროა სამუშაო ჯგუფის წევრები გაეცნონ წარმოდგენილ პირველად ანგარიშს შემდგომ კი მოხდება ანგარიშის მერისთვის წარდგენა. ასევე ანგარიშში აისახოს ნორმატიული ბაზის შესწავლა ბავშვთა დაცვისა და ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ მოპოვებული ინფორმაცია უკვე არსებული პრაქტიკა.
**აზრი გამოთქვა:** თამარ ქევანაშვილმა და აღნიშნა რომ სამუშაო ჯგუფის მუშაობაში ჩართული უნდა იქნას არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედებს ორი არასამთავრობო ორგანიზაცია რომელსაც გააჩნია შშმ და სსმ ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება, კარგი იქნება თუ მოგვაწვდიან ინფორმაციას საჭიროებათა შესახებ რაც პროგრამების შემუშავების საკითხის განხილვისთვისაა საჭირო.

**აზრი გამოთქვა:** მამუკა ხიმშიაშვილმა აღნიშნა, რომ ბავშვთა საჭიროებების გამოსაკვეთად მიზანშეწონილია კვლევაში ჩართონ და მომდევნო სხდომაზე მოიწვიონ სამიზნე ჯგუფის ბავშვების მშობლები და ა(ა)იპ სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორი.
ასევე ოფიციალურად მივმართოთ ა(ა)იპ „რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის თვითმმართველობის რესურს ცენტრის" დირექტორს ნინო სოხაძეს , ა(ა)იპ „ერთად რეალური ცვლილებებისათვის" გამგეობის თავმჯდომარეს ნანა ლომაძეს, ასევე მიმართვა გაეგზავნოს რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სოციალური მომსახურების ცენტრს, მოგვაწოდონ ინფორმაცია საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ პროგრამაში „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა" 2021-2022 წლებში ამბროლაურის მუნიციპალიტეტიდან ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობის შესახებ შემდეგი ქვეპროგრამების მიხედვით:

- დღის ცენტრებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა;
- ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამა;
- კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა.

**დაადგინეს:**

1. ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებამ უზრუნველყოს წარმომადგენელთა მიერ შედგენილი ანკეტების მონაცემების სპეციალურ ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში შეტანა.

2. გაიგზავნოს წერილი - ა(ა)იპ „რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის თვითმმართველობის რესურს ცენტრთან", რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სოციალური მომსახურების ცენტრთან, ა(ა)იპ „ერთად რეალური ცვლილებებისათვის" გამგეობის თავმჯდომარესთან ნანა ლომაძესთან.
3. სამუშაო ჯგუფის სხდომაზე მოწვეული იქნას ა(ა)იპ „სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულები"-ს ხელმძღვანელი.
4. ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების მიერ სამიზნე ჯგუფების შესაბამისად მოხდეს იმ მშობლების შერჩევა რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში. (ფოკუს ჯგუფში მონაწილეობა).
5. შემდგომი სხდომისთვის სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის მოადილეს თამარ ქევანაშვილს და ბვშვის უფლებების დცვისა და მხარდაჭერის განყოფილებას დაავალა საჭიროებათა კვლევის პირველადი ანგარიშის მომზადება და წარმოადგინონ წინადადებები მუნიციპალურ პროგრამებთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარე: მამუკა ხიმშიაშვილი

სხდომის თავმჯდომარის მოადგილე: თამარ ქევანაშვილი

სხდომის წევრები: მარინა ვაჩაძე

თამარ ობოლაშვილი

თამარ მახალდიანი

სოფიო სხირტლაძე

სხდომის მდივანი: მანანა გოგობერიშვილი

**ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის სამუშაო ჯგუფის**

**სხდომის ოქმი N04**

**04 აგვისტო 2022 წელი** **ქ. ამბროლაური**

2022 წლის 04 აგვისტოს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაში გაიმართა ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის სამუშაო ჯგუფი სხდომა.

*სხდომას ესწრებოდნენ:*

- **მამუკა ხიმშიაშვილი** - მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე;
- **თამარ ქევანაშვილი** - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის დროებითი ფუნქციის შემსრულებელი, სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე;
- **მანანა გოგობერიშვილი** - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;
- **მარინა ვაჩაძე-** მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის სოციალური დაცვის განყოფილების ხელმძღვანელი;
- **თამარ ობოლაშვილი-** ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის , სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის განყოფილების ხელმძღვანელი;
- **თამარ მახალდიანი** - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ( ინსპექტორი).
- **სოფიო სხირტლაძე**-მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.
- **მზია მიქაუტაძე** - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ( სოციალური მუშაკი).
- **კახაბერ ნეფარიძე-** მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელთა კოორდინაციის განყოფილების ხელმძღვანელი;

**სხდომას ასევე ესწრებოდნენ:**

- **ეკატერინე კიზაბიძე** - ა(ა) იპ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების ხელმძღვანელი.
- **ფატმან გურგენიძე**-მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ჯანდაცვის განყოფილების ხელმძღვანელი;

სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ მამუკა ხიმშიაშვილმა სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა. მან სამუშაო ჯგუფის წევრებს მადლობა გადაუხადა დასწრებისთვის და გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც ჯგუფმა ერთხმად დაამტკიცა.

*დღის წესრიგი:*

1. საჭიროებათა კვლევის ანგარიშის განხილვა;

2. საჭიროებათა კვლევის პირველადი ანგარიშის საჯარო განხილვისთვის საჭირო პროცედურების განხილვა.

3. მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ წინადადებების განხილვა.

**მოისმინეს:** მამუკა ხიმშიაშვილმა სამუშაო ჯგუფის წევრებს წარუდგინა საჭიროებათა კვლევის პირველადი ანგარიში, კვლევის ფარგლებში ინფორმაციის შეგროვება განხორციელდა როგორც პირველადი ინფორმაციის წყაროებისგან ფოკუს ჯგუფების გამოყენებით, ასევე, გადამოწმებულ იქნა მეორეული წყაროები, რაც მოიაზრებს დოკუმენტაციის ანალიზს, მათ შორის, ხელმისაწვდომი კვლევებისა და ანგარიშების/შეფასებების მიმოხილვას, სტატისტიკური და სხვა სახის მონაცემების დამუშავებას შესწავლის მიზნებისთვის. კვლევაში ჩართვის მიზნით მუნიციპალიტეტში მოქმედ არასამთავრობო სექტორს ეთხოვა მოსაზრებების წარმოდგენა. ამისათვის ოფიციალურად მივმართეთ ა(ა)იპ „რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის თვითმმართველობის რესურს ცენტრს" რომელიც ახორციელებს დღის ცენტრის პროგრამას და ა(ა)იპ „ერთად რეალური ცვლილებებისათვის" რომელიც 6 ადრეული განვითარების შეფერხების მქონე ბავშვისთვის ატარებს სარეაბილიტაციო პროგრამას. კვლევის შედეგად გამოიკვეთა ის გარემოებები რომლების მუნიციპალიტეტმა 2023 წლის პროგრამის შედგენისას უნდა გაითვალისწინოს.

**მოისმინეს:** თამარ ქვენაშვილმა სამუშაო ჯგუფის წევრებს გააცნო საჭიროებათა კვლევის პირველადი ანგარიშის მოკლე მიმოხილვა. წარმოდგენილი და მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე შესწავლილ იქნა ერთის მხრივ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში არსებული გამოწვევები და საჭიროებები სოციალური მიმართულებით, ხოლო მეორეს მხრივ შეფასდა უკვე არსებული სოციალური პროგრამები და მათი შესაბამისობა მოსახლეობის საჭიროებებთან. საჭიროებათა კვლევის შედეგად განისაზღვრა მიზნობრივი/მოწყვლადი ჯგუფები, გამოიკვეთა მიზნობრივი ჯგუფის საჭიროებანი, მოხდა საჭიროებათა რანგირება (პრიორიტეტიზაცია).

პირველადი საჭიროებათა კვლევის ანგარიშის თანახმად გამოიკვეთა რომ მუნიციპალიტეტის მხრიდან ყველაზე მეტად დახმარებას საჭიროებენ მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ბავშვიანი ოჯახები, რომელთა რაოდენობაც 2021 წლის მონაცემებთან შედარებით 57 დან 73-მდე გაზრდილი, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების ქვეპროგრამის შესაბამისად დახმარებით კვების 500 ლარიანი ვაუჩერით სარგებლობს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში 68 ბენეფიციარი, პროგრამით მოსარგებლეთა კატეგორიაში ხვდებიან სოციალურად დაუცველი ოჯახები რომელთა სარეიტინგო ქულა შეადგენს 65 000 ათას, 2023 წლისთვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული თანხა გაიზრდება 800 ლარამდე თითოეული ბავშვისთვის რომელიც დააკმაყოფილებს პროგრამით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს.

მუნიციპალიტეტი უკვე წლებია სოციალურ პროგრამას ახორციელებს მარჩენალდაკარგულ, მრავალშვილიან ოჯახებზე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებზე, ასევე სახელმწიფოს მიერ ხორციელდება კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების პროგრამა, ადრეული განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა დახმარების და შშმ ბავშვთა დღის ცენტრით სარგებლობის პროგრამა.

პროგრამების უმრავლესობა ერთჯერადი ხასიათისაა და როგორც კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა მოსახლეობა არაეფექტურად თვლის სოციალური დახმარების ერთჯერადად გაცემას, რადგანაც იგი ნაკლებადაა შედეგზე ორიენტირებული.

კვლევის შედეგად დადგინდა რომ მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ან/და ქრონიკულ სიღარიბეში მცხოვრები ოჯახების (განსაკუთრებით ბავშვიანი ოჯახების) მხარდამჭერი პროგრამების განვითარება ადგილობრივ დონეზე, რაც უნდა ითვალისწინებდეს მოქნილი ფონდის არსებობას ბავშვიანი ოჯახებისათვის სხვადასხვა ინდივიდუალურ საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, რომელიც დაფუძნებულ იქნება შესაბამის შეფასებასა და მოკვლევაზე; ამასთან, მნიშვნელოვანია ეს მხარდაჭერა ოჯახებს მიწოდებოდეთ არა როგორც განცალკავებული დახმარება, არამედ როგორც ბავშვიან ოჯახებთან მუშაობის ერთ-ერთი კომპონენტი, მშობელთა განათლებასა და სხვა სახის მხარდაჭერასთან ერთად.

ამასთანავე კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა ისეთი გარემოება, რომ არსებული სოციალური დახმარების სისტემა რომელიც გათვლილია ადამიანებისთვის ფულად გასაცემელზე ხშირად იწვევს მათ გაპასიურებას და აქცევთ მათ სოციალური დახმარების პასიურად მიმღებ პირებად. მოსახელობის მითითებით პრობლემურია ისიც, რომ კონკრეტული სოციალური პროგრამები არის ერთჯერადი ხასიათის, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ოჯახის საჭიროებების გრძელვადიანად დაკმაყოფილებას და მათ გაძლიერებას იმგვარად, რომ თავი დააღწიონ სიღარიბეს.

ასევე გამოიკვეთა პრობლემა სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებით სარგებლობის, რომელიც გააჩნია ისეთ სოფლებში მცხოვრებ პირებს, სადაც ბაღის არ არსებობის გამო სხვა სოფელში უხდებათ ბავშვების ტრანსპორტირება, მაგალითად ჭელიაღელის ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც აერთიანებს 5 სოფელს და აქვს მხოლოდ 1 საბავშვო ბაღი, საჭიროებს სოფლებიდან ბავშვების ტრანსპორტირებას, კვლევის ფარგლებში გრძელდება სხვა სოფლების მდგომარეობის შესწავლა.

ანკეტური გამოკითხვის საფუძველზე დადგინდა რომ სტატისტიკურად ყველაზე მეტი პირი მოხვდა ღარიბი ბავშვიან ოჯახების კატეგორიაში, მუნიციპალიტეტის მხრიდან ოჯახების მხარდასაჭერად შესაბამისი ღონისძიებებია ოჯახების უმრავლესობა არის სოციალურად დაუცველი და იღებს კანონით გათვალისწინებულ სოციალურ შემწეობას, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა განპიროვნებულია ოჯახის წევრების დასაქმების პრობლემით ან/და დასაქმებულთა დაბალი ანაზღაურებით, კვლევის შედეგად გამოიკვეთა ისეთი საჭიროებები როგორიცაა სათანადო საკვების აუცილებლობა, ტანსაცმელი, საკითხავი ლიტერატურა, საკანცელარიო და საყოფაცხოვრებო ნივთები, ინტერნეტ სერვისებით სარგებლობაზე მისაწვდომობა.

**მოისმინეს:** ა(ა)იპ „სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულები"-ს ხელმძღვანელმა ეკატერინე კიბაბიძემ წარმოადგინა წინადადებები პროგრამებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ყველაზე დიდი პრობლემა არის ბაღებში ბავშვებისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ფართის არარსებობა, რის გამოც ბავშვების მიღება ბაღებში შეზღუდულია. ამ ეტაპზე პრობლემა ყველაზე მწვავედ დგას ქალაქ ამბროლაურის შემთხვევაში, საჭიროა მოხდეს ახალი ბაღის აშენების საკითხის დროული გადაწყვეტა. ასევე აღნიშნა, რომ მშობლებს ტრანსპორტირების პრობლემა ექმნებათ ჭელიაღელის გარდა ლიხეთის და აბარის საბავშვო ბაღში. ყველა საბავშვო ბაღში კარგი იქნება ფსიქოლოგის და ლოგოპედის კადრის დამატება (ამ ეტაპზე 5 ფსიქოლოგი და 2 ლოგოპედი), ასევე აღნიშნა, რომ დიდი პრობლემაა ყველა ბაღში ექთნის არარსებობა.

მოისმინეს: სოფიო სხირტლაძემ სამუშაო ჯგუფის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტებში ბავშვთა უფლებების დაცვისა და ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერის კუთხით მოქმედი პროგრამები და აღნიშნა რომ მუნიციპალიტეტების პროგრამები თითქმის მსგავსია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2021 წლის 16 დეკემბრის N20 დადგენილებით დამტკიცებული „ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამისა და მიზნობრივი დახმარების

წესით'' გათვალისწინებული პროგრამისა, კერძოდ სხვადასხვა მუნიციპალიტეტებს მიღებული აქვთ პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებს სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვების დახმარებას, მასში მოიაზრებს შშმ, სსმ, დანაშაულის ან/და მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების, ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის ბავშვების შესაბამის დახმარებას. ამ მხრივ განსხვავებულია:

1. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის „ბავშვიანი ოჯახების ხელშეწყობის პროგრამა'' რომლის მიზანს წარმოადგენს უკიდურესად მძიმე საბინაო პირობებში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გამოვლენა, შეფასება, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება (საყოფაცხოვრებო ნივთების შეძენით) და საცხოვრებელ ფართში სარემონტო სამუშაოების განხორციელება. ქვეპროგრამის ამოცანაა, საცხოვრებელ ფართში შემდეგი სახის სარემონტო სამუშაოების განხორციელება მაგ: კედლების ამოშენება და ჭერის შეკეთება, კარ-ფანჯრების შეცვლა, იატაკის, სველი წერტილების მოწყობა და აღჭურვა. ბუნებრივი აირით, ელექტრო ენერგიით და წყლის მიწოდების სისტემით უზრუნველყოფა (მხოლოდ გამრიცხველიანებულ ფართში), გათბობის მოწყობა, მხოლოდ ლოკალური/ადგილობრივი გამათბობელის მონტაჟით. საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება ხორციელდება ასევე საყოფაცხოვრებო ნივთების შეძენით;

2. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა. რომლის ქვეპროგრამებია:

ა) სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვის მატერიალური დახმარების ქვეპროგრამა რომელიც ითვალისწინებს სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი (შშმ, სსმ, დანაშაულის ან/და ძალადობის მსხვერპლი, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვი, მშობელთა ზრუნვის გარეშე დარჩენილი, ზრუნვის სისტემიდან გასული, უსახლკარო ან/და მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების მქონე,ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის მქონე და სხვა) ბავშვებისთვის ყოველთვიურად 30-ლარიან (თით. ბავშვზე) ფულად დახმარებას, რომელიც მოხმარდება საკვები პროდუქტების (გარდა ალკოჰოლური სასმელებისა და თამბაქოსი), ჰიგიენის საშუალებების და საკანცელარიო ნივთების შეძენას.

გ) სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის სპორტულ-გამაჯანსაღებელი წრეების დაფინანსების ქვეპროგრამა, რომელიც ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებულ (სარეიტინგო ქულა 100 001-ზე ნაკლები) 18 წლამდე ასაკის სხვადასხვაპათოლოგიის მქონე 15 ბავშვისთვის ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მოქმედი საცურაო აუზის მომსახურების დაფინანსებას.

3. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა რომლის მიზანია, ბავშვის უფლებების დაცვა და მხარდაჭერა, ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების უზრუნველყოფა მატერიალური და არამატერიალური (სოციალური, იურიდიული, სამედიცინო, ფსიქოლოგიური, საგანმანათლებლო და სხვა) დახმარების გზით.

4. ბაღდადის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის 2022 წლის პროგრამა და სოციალური დახმარების გაცემის წესის ქვეპროგრამა რომელიც ითვალისწინებს ბაღდათის მუნიციპალიტეტში კრიზისულ ვითარებაში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახების დახმარებას. აღნიშნული ქვეპროგრამიდან თითოეულ ოჯახზე გასაცემი თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 2000 ლარს. გასაცემი თანხის ზუსტ ოდენობას განსაზღვრავს ,,სოციალური ღონისძიებების დაფინანსების განმსაზღვრელი კომისია".

**მოისმინეს:** მამუკა ხიმშიაშვილმა აღნიშნა, რომ როგორც საჭიროებათა კვლევის ანგარიშიდან დადგინდა გამოკითხულ პირთა უმრავლესობა პრობლემად მიიჩნევს იმ ფაქტს რომ კონკრეტული სოციალური პროგრამები არის ერთჯერადი ხასიათის, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ოჯახის საჭიროებების გრძელვადიანად დაკმაყოფილებას და მათ გაძლიერებას იმგვარად, რომ თავი დააღწიონ სიღარიბეს, ამასთანავე გასათვალისწინებელია რომ ბავშვიან ოჯახებს შესაძლებელია შეექმნათ ისეთი სახის პრობლემა რომლის გადაწყვეტისთვის ერთჯერადი დახმარების ან ყოველთვიური დახმარებისთვის გაწერილი თანხა არ იყოს საკმარისი, შესაბამისად არსებობს იმის საჭიროება რომ გარკვეული თანხა გათვალისწინებული იქნას ბიუჯეტში. შესაძლებელია განხილული იქნას ბავშვების საცურაო აუზით სარგებლობისთვის აბონიმენტზე გარკვეული შეღავათების დაწესების საკითხიც, რადგანაც გამოკითხული ბავშვების მიერ დასახელებული იქნა აუზით სარგებლობის მოთხოვნა.

**მოისმინეს:** მანანა გოგობერიშვილმა აღნიშნა რომ მიზანშეწონილია 1 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს მოხდეს ბავშვთა გასართობი ღონისძიების გამართვა, ასევე მნიშვნელოვანია კვლავ გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში 2022 წელს მოქმედი ბავშვიანი ოჯახების 500 ლარით დაფინანსების პროგრამა. ბავშვიან ოჯახებს გააჩნიათ ისეთი სახის პრობლემები მაგალითად საცხოვრებელ სახლთან დაკავშირებული რომელთა გადაწყვეტისთვისაც საჭიროა გარკვეული თანხის მობილიზება და ინდივიდუალური პრობლემის გადაჭრა, დახმარების გაცემის საკითხი შესაძლებელია გადაწყვეტილი იქნას კომისიური წესით.

**დაადგინეს:**

1. სამუშაო ჯგუფისთვის ბავშვთა საჭიროებების შესახებ წინადადების წარმოდგენის მიზნით სხდომაში მონაწილეობისთვის მოწვეული იქნან ა(ა)იპ „ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების“ ორი მშობელი.
2. სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ წარმოდგენილი იქნას წინადადება სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვიან ოჯახებზე ერთჯერადად 2000 ლარით დახმარების ქვეპროგრამის კრიტერიუმებთან დაკავშირებით.
3. სამუშაო ჯგუფის წევრები დეტალურად გაცნონ საჭიროებათა კვლევის პირველად ანგარიშს და პროგრამასთან დაკავშირებული წინადადებები წარმოადგინონ მომავალ შეხვედრაზე.

სხდომის თავმჯდომარე: მაშუკა ხიმშიაშვილი

სხდომის თავმჯდომარის მოადგილე: თამარ ქევანაშვილი

სხდომის წევრები:

მარინა ვაჩაძე

თამარ ოზოლაშვილი

თამარ მახალდიანი

სოფიო სხირტლაძე

მზია მიქაუტაძე

ვახაბერ ნეფარიძე

ირაკლი კობახიძე

სხდომის მდივანი: მანანა გოგობერიშვილი

**ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის სამუშაო ჯგუფის**

**სხდომის ოქმი N05**

**01 სექტემბერი 2022 წელი** **ქ. ამბროლაური**

2022 წლის 01 სექტემბერს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაში გაიმართა ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის სამუშაო ჯგუფი სხდომა.

*სხდომას ესწრებოდნენ:*

- **მამუკა ხიმშიაშვილი** - მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე;
- **თამარ ქევანაშვილი** - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის დროებითი ფუნქციის შემსრულებელი, სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე;
- **მანანა გოგობერიშვილი** - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;
- **თამარ მახალდიანი** - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ( ინსპექტორი).
- **სოფიო სხირტლაძე**-მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.
- **მზია მიქაუტაძე** - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ( სოციალური მუშაკი).
- **კახაბერ ნეფარიძე**- მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელთა კოორდინაციის განყოფილების ხელმძღვანელი;

**სხდომას ასევე ესწრებოდნენ:**

- **ეკატერინე კიზაბიძე** - ა(ა) იპ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების ხელმძღვანელი.
- **ნანა ლებანიძე**- მოწვეული მშობელი.

სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ მამუკა ხიმშიაშვილმა სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა. მან სამუშაო ჯგუფის წევრებს მადლობა გადაუხადა დასწრებისთვის და გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც ჯგუფმა ერთხმად დაამტკიცა.

*დღის წესრიგი:*

1. კვლევის მიგნებების საფუძველზე პრიორიტეტების გამოვლენა;

2. წინადადებების წარდგენა შემდგომი კოორდინაციისათვის.

**მოისმინეს:** თამარ ქევნაშვილმა სამუშაო ჯგუფის წევრებთან ერთად მიმოიხილა საჭიროებათა კვლევის ანგარიში, რომლის მიხედვითაც გამოიკვეთა მძიმე სოციალურ-ეკონომიურ პირობებში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების აუცილებლობა, ასევე აღსანიშნავია რომ მუნიციპალიტეტში მოქმედი სოციალური პროგრამები რომელიც შეეხება შშმ ბავშვებს, მრავალშვილიან ოჯახებს, მარჩენალდაკარგულ ოჯახებს საჭიროებენ დასაფინანსებელი თანხის ოდენობის გადახედვას. როგორც საჭიროებათა კვლევის შედეგად დადგინდა არსებობს 2022 წელს მოქმედი ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის გაგრძელების აუცილებლობა და დამატებით ისეთი სახის დაფინანსება რომელიც ბავშვიანი ოჯახისთვის არსებული კონკრეტული პრობლემის მოსაგვარებლად იქნება გამოყენებული. კვლევის ფარგლებში მნიშვნელოვანია არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დაინტერესებული პირების მოსაზრების გათვალისწინება. გამოიკვეთა ისეთი სახის პრობლემები რომლებიც უკავშირდება სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებაში საჭირო კადრების არსებობას და ავტორიზაციის გავლის პროცესში წარმოშობილ შესაძლო პრობლემებს, საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის და ქ. ამბროლაურში ახალი საბავშვო ბაღის აშენების საკითხი. ასევე გამოკითხული ბავშვების მიერ დასახელებულ მოთხოვნას წარმოადგენდა საცურაო აუზით სარგებლობის მოთხოვნა.

**მოისმინეს:** ა(ა)იპ „სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულები"-ს ხელმძღვანელმა ეკატერინე კიზაბიძემ აღნიშნა, რომ ყველაზე დიდი პრობლემა არის ბაღებში ბავშვებისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ფართის არარსებობა, რის გამოც ბავშვების მიღება ბაღებში შეზღუდულია. ამ ეტაპზე პრობლემა ყველაზე მწვავედ დგას ქალაქ ამბროლაურის შემთხვევაში, საჭიროა მოხდეს ახალი ბაღის აშენების საკითხის დროული გადაწყვეტა. ეკატერინე კიზაბიძემ აღნიშნა, რომ პრობლემა არის სპეციალისტების არარსებობა ბაღებში (ლოგოპედი, ფსიქოლოგი) და კარგი იქნება თუ გადავამზადებთ ადგილზე მყოფ თანამშრომლებს. ასევე აღნიშნა, რომ პრობლემაა ბავშვისთვის შშმ სტატუსის მინიჭების საკითხი აუცილებელია მშობელი დავარწმუნოთ, რომ მოხდეს ბავშვის შეფასება, რითაც მივიღებთ უკეთეს შედეგს.

**თამარ ქევნაშვილმა** სამუშაო ჯგუფის წევრებს გააცნო შშმ ბავშვებთან მომუშავე ორგანიზაციამ ა(ა)იპ „ერთად რეალური ცვლილებებისათვის" გამგეობის თავმჯდომარის ნანა ლომაძის წერილი, რომელშიც გამოკვეთილია რამდენიმე პრიორიტეტული საკითხი, რომელიც საჭიროებს სათანადო რეაგირებას, მათ შორის:

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვერ ხდება შეზღუდული შესაძლებლობის სატატუსის მინიჭება, რის გამოც ბავშვები რჩებიან შესაბამისი სტატუსის და მასთან დაკავშირებული ბენეფიტების გარეშე. სტატუსის დასადგენად უხდებათ სხვა რეგიონში წასვლა, რაც დაკავშირებულია ზედმეტ მატერიალურ და დროის დანახარჯთან, აგრეთვე განსაკუთრებით პრობლემურია რთული ქცევის ბავშვების შემთხვევაში (აუცილებელია მითხოვნილი იქნას ველიდური მულტიგუნდის შექმნა, რომელიც 3 თვეში ერთხელ შეფასდება);
- მუნიციპალიტეტში მცხოვრებ აუტისტური სპექტრის დარღვევების მქონე ბავშვებისთვის საჭიროა არსებობდეს ქცევითი მართვის, იგივე ABA თერაპიის მომსახურების შესაძლებლობა;
- სმენისა და მეტყველების შეფერხების მქონე ბავშვებისთვის საჭიროა ადგილზე მომსახურების მიწოდება;
- მუნიციპალიტეტში სოციალური მომსახურების სფეროში საჭიროა სპეციალისტების უწყვეტი მომზადება/გადამზადება, პროგრამების მხარდაჭერა, მათი ფუნქციონირების ხელშეწყობა, რომელიც მოემსახურება ბავშვებს და ზრდასრული საჭიროების მქონე პირებს მუნიციპალიტეტში უკვე მოქმედი სა სხვა ახალი მომსახურების ფარგლებში, კერძოდ, მეტყველების თერაპევტი, რეაბილიტოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, შინმოვლაში მომზადებული სპეციალისტები (ექიმი, ექთანი, მომვლელი), პერსონალური ასისტენტი;

- [illegible]
[illegible] განათლების ხელშეწყობის პროგრამების განხორციელება;
- ბავშვთა აღზრდის საკითხებზე და ძალადობის საწინააღმდეგოდ საზოგადოების განათლებისა და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების განხორციელება;
- ღარიბი ბავშვიანი ოჯახების ბავშვთა კვებით დახმარება და ოჯახის წევრთა დასაქმების ხელშეწყობა.

**მოისმინეს:** ა(ა) იპ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების აღსაზრდელის მშობელმა ნანა ლებანიძემ აღნიშნე, რომ მშობლები მზად არიან ჩაერთონ პროგრამებზე მუშაობის პროცესში, საჭიროებათა კვლევის ანგარიშის შედეგების გაცნობა მოხდება მშობლებისთვის და შემდგომ წარმოდგენილი იქნება მათი მოსაზრებები.

**დაადგინეს:**

შემდეგ შეხვედრაზე წარმოდგენილი იქნას კონკრეტული პროგრამის პროექტი, რომლის დაფინანსებაც უნდა მოხდეს მუნიციპალიტეტის მიერ და განხილული იქნას სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების მშობლების წინადადებები/ინიციატივები მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარე: მამუკა ხიმშიაშვილი

სხდომის თავმჯდომარის მოადგილე: თამარ ქევანაშვილი

სხდომის წევრები: თამარ მახალდიანი

სოფიო სხირტლაძე

მზია მიქაუტაძე

კახაბერ ნეფარიძე

სხდომის მდივანი: მანანა გოგობერიშვილი

**ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის სამუშაო ჯგუფის**

**სხდომის ოქმი N06**

**08 ნოემბერი 2022 წელი** **ქ. ამბროლაური**

2022 წლის 08 ნოემბერს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაში გაიმართა ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის სამუშაო ჯგუფი სხდომა.

*სხდომას ესწრებოდნენ:*

- **მამუკა ხიმშიაშვილი** - მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე;
- **თამარ ქევანაშვილი** - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის დროებითი ფუნქციის შემსრულებელი, სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე;
- **მანანა გოგობერიშვილი** - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;
- **თამარ მახალდიანი** - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ( ინსპექტორი).
- **სოფიო სხირტლაძე**-მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.
- **მზია მიქაუტაძე** - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ( სოციალური მუშაკი).
- **მარინა ვაჩაძე**- მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის სოციალური დაცვის განყოფილების ხელმძღვანელი;
- **ირაკლი კობახიძე** - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის საბიუჯეტო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- **კახაბერ ნეფარიძე**- მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელთა კოორდინაციის განყოფილების ხელმძღვანელი;

**სხდომას ასევე ესწრებოდნენ:**

სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ მამუკა ხიმშიაშვილმა სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა. მან სამუშაო ჯგუფის წევრებს მადლობა გადაუხადა დასწრებისთვის და გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც ჯგუფმა ერთხმად დაამტკიცა.

*დღის წესრიგი:*

**1.ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის და მიზნობრივი დახმარების გაცემის წესის პროექტის წარდგენა.**

**2. საჭიროებათა კვლევის საბოლოო ანგარიში.**

**მოისმინეს:** თამარ ქევნაშვილმა სამუშაო ჯგუფის წევრებთან ერთად მიმოიხილა საჭიროებათა კვლევის ანგარიში. წარმოდგენილი და მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე შესწავლილ იქნა ერთის მხრივ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში არსებული გამოწვევები და საჭიროებები სოციალური მიმართულებით, ხოლო მეორეს მხრივ შეფასდა უკვე არსებული სოციალური პროგრამები და მათი შესაბამისობა მოსახლეობის საჭიროებებთან.

საჭიროებათა კვლევის ანგარიშის თანახმად გამოიკვეთა რომ მუნიციპალიტეტის მხრიდან ყველაზე მეტად დახმარებას საჭიროებენ მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ბავშვიანი ოჯახები, რომელთა რაოდენობაც 2021 წლის მონაცემებთან შედარებით 57 დან 73-მდე გაზრდილი. გამოკითხვის საფუძველზე დადგინდა რომ სტატისტიკურად ყველაზე მეტი პირი მოხვდა ღარიბი ბავშვიან ოჯახების კატეგორიაში, მუნიციპალიტეტის მხრიდან ოჯახების მხარდასაჭერად შესაბამისი ღონისძიებებია ოჯახების უმრავლესობა არის სოციალურად დაუცველი და იღებს კანონით გათვალისწინებულ სოციალურ შემწეობას, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა განპიროვნებულია ოჯახის წევრების დასაქმების პრობლემით ან/და დასაქმებულთა დაბალი ანაზღაურებით, კვლევის შედეგად გამოიკვეთა ისეთი საჭიროებები როგორიცაა სათანადო საკვების აუცილებლობა, ტანსაცმელი, საკითხავი ლიტერატურა, საკანცელარიო და საყოფაცხოვრებო ნივთები, ინტერნეტ სერვისებით სარგებლობაზე მისაწვდომობა.

**მოისმინეს:** მამუკა ხიმშიაშვილმა სხდომის წევრებს გააცნო ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა და მიზნობრივი დახმარების გაცემის წესის პროექტი. პროგრამის მე-2 მუხლს დაემატა „ზ" პუნქტი რომლითაც გათვალისწინებული იქნება კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახებისთვის არაუმეტეს 2 000 ლარით დახმარება, რომელი თანხაც გამოყენებული იქნება ბავშვის საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად ამ ეტაპზე პროგრამით გათვალისწინებული თანხა საკმარისი იქნება 5 ოჯახისთვის, შემოსული განცხადებების შესაბამისად სოციალური მუშაკი მოახდენს ოჯახის მდგომარეობის შეფასებას, დახმარების გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება მოხდება კომისიური წესით. საჭიროა დაინტერესებულმა პირმა შემოსულ განცხადებაში დეტალურად აღწეროს ის საჭიროება და გამოწვევები რომელიც ოჯახის წინაშე დგას რათა დროულად მოხდეს გადაწყვეტილების მიღება და ბავშვისთვის მხარდაჭერის განხორციელება. ასევე საჭიროა ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების თანამშრომლებმა განახორციელონ კონტროლი დახმარების გაცემის შემდგომ მის მიზნობრივ გამოყენებაზე.

**მოისმინეს:** მანანა გოგობერიშვილმა აღნიშნა რომ განყოფილების თანამშრომლები პერიოდულად განახორციელებენ დახმარების მიმღები ოჯახების მონიტორინგს, ასევე შესაძლებელია საჭირო ინვენტარის შეძენის შემთხვევაში მოეთხოვოთ ანგარიშ-ფაქტურების და ზედნადებების წარმოდგენა მოქალაქეებს ან უშუალოდ მოხდეს უფლებამოსილი პირის თანდასწრებით ინვენტარის შეძენა და იმის გაკონტროლება მიზნობრივად მოხდა თუ არა ბავშვისთვის განკუთვნილი დახმარების გამოყენება.

**აზრი გამოთქვეს:** სამუშაო ჯგუფის წევრებმა აღნიშნეს რომ კვლევის შედეგად შესწავლილი ოჯახებიდან გამომდინარე საჭირო იყო ისეთი ქმედების განხორციელება მუნიციპალიტეტის მიერ რომელიც პრობლემის მოგვარებაზე იქნებოდა ორიენტირებული და არ ექნება მხოლოდ ერთჯერადად თანხის გაცემის ხასიათი ისე რომ პრობლემა მოუგვარებელი დარჩეს.

დაადგინეს: საჭიროებათა კვლევის საბოლოო ანგარიში 2023 წლის პროგრამის პროექტთან ერთად (ერთვის ოქმს) შემდგომი რეაგირებისა და განხილვის მიზნით გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერს.

სხდომის თავმჯდომარე: მამუკა ხიმშიაშვილი

სხდომის თავმჯდომარის მოადგილე: თამარ ქევანაშვილი

სხდომის წევრები: თამარ მახალდიანი

სოფიო სხირტლაძე

მზია მიქაუტაძე

ვახტანგ წეფარიძე

ირაკლი კობახიძე

მარინა ვაჩაძე

სხდომის მდივანი: მანანა გოგობერიშვილი

# საჭიროებათა კვლევის პირველადი ანგარიში

## 1. შესავალი

საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის“ კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად 2020 წლის 1 სექტემბრიდან მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილება გახდა ბავშვის უფლებების დაცვისა და ბავშვიანი ოჯახების მხარდამჭერი პროგრამების შემუშავება, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მხარდაჭერის მიზნით, ყოველწლიურად იქმნებოდა და ხორციელდებოდა სოციალურ და ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამები, 2018-2020 წლებში საკანონმდებლო დონეზე განხორციელებული ცვლილებების - „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ და „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე გაიზარდა მუნიციპალიტეტის, როგორც მოსახლეობასთან ყველაზე ახლოს მდგომი ხელისუფლების ფუნქცია და როლი ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური დაცვის სფეროში, ადგილობრივი თვითმმართველობა გახდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტორი ბავშვზე ფოკუსირებული სოციალური პოლიტიკის და ადგილობრივი სოციალური პროგრამების დაგეგმვის პროცესის.

თვითმმართველობისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ეფექტურად განხორციელების მიზნით ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ხორციელდება პროექტი „ბავშვთა დაცვის სისტემების და მომსახურებების გაძლიერება საქართველოში“. პროექტის ფარგლებში ამბროლაურის მუნიციპალიტეტსა და საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციას შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომლის მიზანია ბავშვსა და ბავშვიან ოჯახზე მორგებული სოციალური პროგრამირების შემუშავებაში მუნიციპალიტეტის ხელშეწყობა.

მემორანდუმის ხელმომწერი მხარეები თანამშრომლობენ შემდეგ საკითხებზე:

1. ადგილობრივ დონეზე სოციალური საჭიროებების კვლევის შეთანხმებული მეთოდოლოგიის და ინსტრუმენტების გამოყენებით ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებების კვლევის ჩატარება;
2. საჭიროებათა კვლევის მიგნებებზე დაფუძნებული სოციალური პროგრამების პაკეტის შემუშავება.
3. ახალი მეთოდოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენებით შემუშავებული და განხორციელებული სოციალური პროგრამების შეფასება.

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ასოციაციის მიერ შემოთავაზებული იქნა საჭიროებათა კვლევის მოდელი რომელიც ეფუძნება EU მეთოდოლოგიას , რომელიც წარმატებით გამოიყენება EU ფონდების და EU წევრი სახელმწიფოების მიერ, სოციალური პროექტების შემუშავებისთვის. აღნიშნული მეთოდოლოგია გვთავაზობს საჭიროების კვლევისადმი კომპლექსურ მოდგომას, რომელიც გულისხმობს, როგორც სამიზნე ჯგუფების საჭიროებების გამოვლენას, ასევე მათ დანახვას ადგილობრივი თემის საჭიროებების კონტექსტში.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურში შექმნილია მეორადი სტრუქტურული ერთეული (განყოფილება)ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება, რომელიც შეიმუშავებს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამებს. გასულ წელს ჩატარებული კვლევის საფუძველზე შემუშავდა სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვის მატერიალური დახმარების პროგრამა,

აღნიშნული პროგრამით მოსარგებლეა სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვი, რომელსაც ესაჭიროება ფულადი დახმარება.

მერის წარმომადგენლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე გამოვლინდა სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი 57 ბავშვი, რომელთაც მუნიციპალიტეტის მხრიდან ესაჭიროებათ მხარდაჭერა. ბავშვიანი ოჯახების ძირითად პრობლემას წარმოადგენდა ოჯახის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობა, რაც განაპირობებდა ოჯახის სოციალური საფრთხის წინაშე ყოფნას, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოიყო 28 500 (ოცდარვა ათას ხუთასი) ლარი, ბავშვების დასახმარებლად. თითოეულ ბავშვზე გაიცემა ერთჯერადად თანხა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

აღნიშნული კვლევის მიზანია შესწავლილ იქნეს ერთის მხრივ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში არსებული გამოწვევები და საჭიროებები სოციალური მიმართულებით, ხოლო მეორეს მხრივ უკვე არსებული სოციალური პროგრამები და მათი შესაბამისობა ამ საჭიროებებთან. ასევე, იმ კონკრეტულ საჭიროებათა იდენტიფიცირება, რომელიც რჩება მოქმედი მუნიციპალური სოციალური პროგრამების მიღმა.

მომავალი საბიუჯეტო წლისთვის ბავშვთა უფლებებისა და მხარდაჭერის პროგრამების სწორად დაგეგმვის მიზნით საჭიროებათა კვლევის ჩატარების აუცილებლობაზე მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი იქნა ინფორმაცია სავარაუდო საკვლევი სამიზნე ჯგუფების შესახებ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერმა გამოსცა ბრძანება (N 76.76221458 25.05.2022) ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის სამუშაო ჯგუფის შექმნისა და სამუშაო ჯგუფის დებულების დამტკიცების შესახებ.

სამუშაო ჯგუფი დაკომპლექტებული იქნა მერიის ადმინისტრაციული, საფინანსო, სოციალური, იურიდიული, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებისა და განათლება, კულტურა, ძეგლთა დაცვის განყოფილების წარმომადგენლებისგან. ამ ბრძანების საფუძველზე სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყო ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის ჩატარება, ბრძანებით დამტკიცებული სამიზნე ჯგუფების მიხედვით:

1. „შეზღუდული შესაძლებლობი მქონე ბავშვი (სტატუსის მქონე/სტატუსის არმქონე), აგრეთვე განვითარების სირთულის მქონე ბავშვი";
2. „მშობლის მზრუნველობას მოკლებული ბავშვი (მ.შ.: ობოლი ან მარჩენალდაკარგული ბავშვი, მშობლის მიგრაციის გამო ნათესავებთან დროებით მცხოვრები ბავშვი)";
3. „ბავშვი ღარიბი ოჯახიდან, რომლის მშობელი/მეურვე არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი";
4. „ღარიბი ბავშვიანი ოჯახი (სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე/სტატუსის არმქონე) და ღარიბი მრავალშვილიანი ოჯახი".

## 2. მუნიციპალიტეტის აღწერა

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი მდებარეობს რაჭა – ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ცენტრალურ ნაწილში. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია ქ.

ამბროლაური. განეკუთვნება მაღალმთიან დასახლებას, ქალაქი ამბროლაურის გარდა მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შედის 18 ტერიტორიული ერთეული (თემები), რომლებშიც გაერთიანებულია 69 სოფელი. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ფართობი შეადგენს 1 139.2 კვ. კმ-ს, მოსახლეობა რეგისტრირებული 13520 პირი, მუდმივად მცხოვრები 12 100 პირი, 0-დან 18 წლის ასაკის პირი - 1988. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 13 567 000 ლარი, სოციალური დაცვის პროგრამებისთვის განკუთვნილი თანხა 606 000 ლარი. მუნიციპალიტეტი გამოირჩევა ხანდაზმული მოსახლეობის მაღალი რიცხოვნობით, მოსახლეობის რიცხოვნობის კლება და დაბერება არის ერთ-ერთი მწვავე პრობლემა, რომელიც უარყოფითად აისახება რეგიონის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე. აქვე, უნდა აღინიშნოს რომ რთული დემოგრაფიული მდგომარეობა გაპირობებულია შობადობის დაბალი და სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლით, შიდა და გარე მიგრაციით.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მოქმედებს ბავშვთა სოციალური დახმარებისა და ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერის სხვადასხვა სახის პროგრამები, როგორც სოციალური დაცვის ასევე განათლების ხელშეწყობის პროგრამები რომელზეც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2021 წელს დაიხარჯა- 409969.6 ლარი (სოციალური/ჯანდაცვა- 367277.6; განათლება-42692).

**ქვეპროგრამა - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 0-დან 18 წლამდე ასაკი ბავშვის ერთჯერადი დახმარება**

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვი, ერთჯერადი ფულადი დახმარება 300 (სამასი) ლარის ოდენობით გაიცემა ოჯახზე /წარმომადგენელზე. ბენეფიციართა რაოდენობა 15, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაცემულია 4500 ლარი.

**ქვეპროგრამა მრავალშვილიან (სამი და მეტი 0-18 წლამდე ასაკის ბავშვი) ოჯახზე ერთჯერადი ფულადი დახმარება**

მრავალშვილიან (სამი და მეტი 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვი) ოჯახზე, გაიცემა ერთჯერადი ფულადი დახმარება 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით, დღეის მდგომარეობით 115 ოჯახზე გაცემულია 48 000 (ორმოცდარვა ათასი) ლარი.

**ქვეპროგრამა მარჩენალდაკარგული (0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვი) ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება**

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მარჩენალდაკარგულთა ერთჯერადი ფულადი დახმარება გაიცემა ოჯახზე/წარმომადგენელზე:

ა) ერთ-ერთი მშობლის გარდაცვალების შემთხვევაში - მშობელზე 300(სამასი) ლარის ოდენობით (32 ბენეფიციარი, გაცემულია 9 600 (ცხრაათას ექვსასი) ლარი.

ბ) ორივე მშობლის გარდაცვალების შემთხვევაში - წარმომადგენელზე 600(ექვსასი) ლარის ოდენობით. (ერთი ოჯახია, გაცემულია 600 ლარი).

**ქვეპროგრამა მარტოხელა მშობლის ერთჯერადი ფინანსური დახმარება**

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მარტოხელა მშობელს, რომელსაც ჰყავს 0 -დან 18 წლამდე ასაკის ბავშვი, მიეცემა ერთჯერადი ფინანსური დახმარება 300 (სამასი) ლარის ოდენობით. (დღეის მდგომარეობით გაცემულია 2 მარტოხელა მშობელზე 600 ლარი)

**ქვეპროგრამა - ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა დიეტური კვებით მკურნალობა** ქვეპროგრამით მოსარგებლეა ფენილკეტონური დაავადების მქონე პირი, რომელსა ავადობის დიაგნოზით სჭირდება უწყვეტი დიეტოთერაპია. დასახელებული დაავადების მქონე ბავშვებს აუცილებელი სპეციალური უცილო პროდუქტი დაუფინანსდებათ წლიური ლიმიტით არაუმეტეს 3500 (სამი ათას ხუთასი) ლარით.

მუნიციპალიტეტი ახორციელებს სამედიცინო დახმარების ქვეპროგრამებს რომელიც გულისხმობს მედიკამენტური მკურნალობის დაფინანსებას, მაღალტექნოლოგიური სამედიცინო მომსახურების და ქირურგიული მომსახურების დაფინანსებას სამედიცინო მომსახურების ფარგლებში 2021 წელს დაფინანსება გაიცა 11 ბავშვზე, ჯამში 8877, 6 ლარი.

განათლება, კულტურა სპორტი და ახალგაზრდობის ხელშეწყობის მიზნით მერია ახორციელებს შემდეგ ქვეპროგრამებს:

**ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდულ ღონისძიებათა დაფინანსების პროგრამა -** პროგრამის ფარგლებში ფინანსდება: მუნიციპალიტეტის გარეთ, ქვეყნის მასშტაბით, სხვადასხვა სახის ღონისძიებებზე მიწვევის, სპორტული ფორმების შეძენა და გამარჯვებულთა დაჯილდოვება - სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაში მონაწილე გუნდებისათვის, კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიების მოწყობა, სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობა. აღნიშნული პროგრამით 2021 წელს ისარგებლა 100-მდე ბენეფიციარმა. ჯამში პროგრამის განხორციელების თანხა - 13750 ლარი;

**ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებებზე წვდომის (სამგზავრო გადაყვანის) ხელშეწყობის პროგრამა** - პროგრამით მოსარგებლეა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსწავლე-ახალგაზრდებისათვის, ქალაქ ამბროლაურში მდებარე სხვადასხვა პროფილის სკოლისგარეშე დაწესებულებების სასწავლო პროგრამების, ასევე მათგან გამომდინარე, თანმდევი ინიციატივების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. აღნიშნული პროგრამით 2021 წელს ისარგებლა 350-მდე ბენეფიციარმა. ჯამში პროგრამის განხორციელების თანხა - 15742 ლარი;

**ამბროლაურის მუნიციპალიტეტის განათლების სფეროში საპატიო წოდებების მინიჭებისა და განათლების ხელშეწყობის პროგრამა** - პროგრამა მოიცავს ოქროს და ვერცხლის მედალოსნების ფულადი დახმარებას (ოქროზე 300 ლარი, ვერცხლზე 200 ლარი), აგრეთვე საჯარო სკოლის 6 სოციალურად დაუცველ, წარჩინებულ მოსწავლისათვის კომპიუტერის (ლეპტოპის) გადაცემას. 2021 წელს ოქროს მედალოსნების ქვეპროგრამით ისარგებლა 5-მა ბენეფიციარმა, ვერცხლის მედალოსნის დახმარებით ისარგებლა 4-მა ბენეფიციარმა. ჯამში მედალოსნებზე გაიცა 3 000 ლარი. პროგრამით განსაზღვრული კომპიუტერი (ლეპტოპი) გადაეცა 6 მოსწავლეს, ღირებულებით 10200 ლარი.

**ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეთა საზაფხულო ბანაკის პროგრამა.** პროგრამის მოსარგებლეა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლის მეთერთმეტე კლასელები, რომლებიც არაუმეტეს 10 (ათი) დღით გაემგზავრებიან ახალგაზრდულ ბანაკში აქტიური დასვენებისათვის. ამბროლაურის

მუნიციპალიტეტი კოვიდ 19-ის პანდემიამდე ახორციელებდა (პროგრამა ბოლოს განხორციელდა 2019 წელს) 2019 წელს პროგრამით ისარგებლა 13 ბენეფიციარმა. ჯამში 10 175 ლარი.

## 3. კვლევის აღწერა

კვლევის მიზანია შესწავლილ იქნეს ერთის მხრივ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში არსებული გამოწვევები და საჭიროებები სოციალური მიმართულებით, ხოლო მეორეს მხრივ შეფასდეს უკვე არსებული სოციალური პროგრამები და მათი შესაბამისობა მოსახლეობის საჭიროებებთან. ასევე, იმ კონკრეტულ საჭიროებათა იდენტიფიცირება, რომელიც რჩება მოქმედი მუნიციპალური სოციალური პროგრამების მიღმა, უფრო კონკრეტულად კი, კვლევის ამოცანებია:

- განისაზღვრება მიზნობრივი/მოწყვლადი ჯგუფები;
- გამოიკვეთება მიზნობრივი ჯგუფის საჭიროებანი;
- მოხდება საჭიროებათა რანგირება (პრიორიტეტიზაცია);
- მოხდება საჭიროებათა წარმომქმნელი ფაქტორების ანალიზი;
- გამოიკვეთება სოციალური პოლიტიკის მიმართულებები;
- შემუშავდება საჭიროებაზე დაფუძნებული მუნიციპალური პროგრამები;

ადგილობრივი მოსახლეობისა და კვლევის სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლებისთვის კვლევის დაწყების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლები.
კვლევის მოსამზადებელ ეტაპზე გამოიკვეთა სამიზნე და მოწყვლადი ჯგუფები, ჩატარებულია სამიზნე ჯგუფების აღწერა, მოძიებულია სტატისტიკური მონაცემები.
ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ შესრულდა შემდეგი სამუშაოები: სამიზნე ჯგუფის წევრთა შესახებ მონაცემთა შეგროვება დასახლებების დონეზე, შეგროვებულ მონაცემთა გარდაქმნა სტატისტიკურ ინფორმაციად, ანკეტური გამოკითხვა რესპონდენტებთან და შევსებული ანკეტების გადაგზავნა სამუშაო ჯგუფისთვის;
მონაცემთა შეგროვების შედეგად რაოდენობრივი მონაცემები გამოიყურება შემდეგი სახით:

| სამიზნე ჯგუფი | ბავშვთა რაოდენობა | გამოკითხული რესპოდენტების რაოდენობა | ქვეჯგუფი/რაოდენობა |
|---|---|---|---|
| „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი | 24 | 11 | განვითარების სირთულის მქონე ბავშვი -4<br>შშმ სტატუსის მქონე -17<br>შშმ სტატუსის არმქონე-3 |
| მშობლის მზრუნველობას მოკლებული ბავშვი | 35 | 8 | ობოლი -3<br>ნათესავებთან დროებით მცხოვრები -5<br>მარჩენალდაკარგული -27 |

| | | | |
|---|---|---|---|
| ბავშვი ღარიბი ოჯახიდან რომლის მშობელი/მეურვე არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი | 3 | 1 | მშობელი/მეურვე არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი - 2 |
| ღარიბი ბავშვიანი ოჯახი და ღარიბი მრავალშვილიანი ოჯახი | 75 | 21 | ღარიბი მრავალშვილიანი ოჯახი - 36 ღარიბი ბავშვიანი ოჯახი - 39 |
| ძალადობის მსხვერპლი ბავშვი ბავშვი“- | 0 | 0 | 0 |

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით ყველაზე მეტი 54% ბავშვი მოხვდა ღარიბი ბავშვიანი ოჯახების სამიზნე ჯგუფში, სამიზნე ჯგუფების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი იქნა ყველა ადმინისტრაციული ერთეულიდან გარდა ხოტევისა და ველევის ადმინისტრაციული ერთეულისა, რადგან ამ ადმინისტრაციული ერთეულებში სამიზნე კატეგორიის მქონე ბავშვები არ აღმოჩდნენ.

მუნიციპალიტეტი უკვე წლებია სოციალურ პროგრამას ახორციელებს მარჩენალდაკარგულ, მრავალშვილიან ოჯახებზე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებზე, ასევე სახელმწიფოს მიერ ხორციელდება კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების პროგრამა, ადრეული განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა დახმარების და შშმ ბავშვთა დღის ცენტრით სარგებლობის პროგრამა. პროგრამების უმრავლესობა ერთჯერადი ხასიათისაა და როგორც კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა მოსახლეობა არაეფექტურად თვლის სოციალური დახმარების ერთჯერადად გაცემას, რადგანაც იგი ნაკლებადაა შედეგზე ორიენტირებული.

კვლევის ფარგლებში ინფორმაციის შეგროვება განხორციელდა როგორც პირველადი ინფორმაციის წყაროებისგან ფოკუს ჯგუფების გამოყენებით, ასევე, გადამოწმებულ იქნა მეორეული წყაროები, რაც მოიაზრებს დოკუმენტაციის ანალიზს, მათ შორის, ხელმისაწვდომი კვლევებისა და ანგარიშების/შეფასებების მიმოხილვას, სტატისტიკური და სხვა სახის მონაცემების დამუშავებას შესწავლის მიზნებისთვის. კვლევაში ჩართვის მიზნით მუნიციპალიტეტში მოქმედ არასამთავრობო სექტორს ეთხოვა მოსაზრებების წარმოდგენა. ამისათვის ოფიციალურად მივმართეთ ა(ა)იპ „რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის თვითმმართველობის რესურს ცენტრს“ რომელიც ახორციელებს დღის ცენტრის პროგრამას პროგრამის ფარგლებში სარგებლობს 18 ბენეფიციარი და ა(ა)იპ „ერთად რეალური ცვლილებებისათვის“ რომელიც 6 ადრეული განვითარების შეფერხების მქონე ბავშვისთვის ატარებს სარეაბილიტაციო პროგრამას. ასევე ბავშვთა საჭიროებების გამოსაკვეთად ფოკუს ჯგუფში მოწვეული იქნენ სამიზნე ჯგუფის ბავშვების მშობლები და ა(ა)იპ „ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების“ ხელმძღვანელი.

4.საჭიროებათა კვლევის შედეგად:

-განისაზღვრა მიზნობრივი/მოწყვლადი ჯგუფები;

- გამოიკვეთა მიზნობრივი ჯგუფის საჭიროებანი;

-მოხდა საჭიროებათა რანგირება (პრიორიტეტიზაცია).

სოციალური მომსახურების სააგენტოს, 2022 წლის მონაცემების თანახმად, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის 34,18 % არის სოციალური შემწეობის მიმღები (4621 პირი). აღნიშნული მიუთითებს, სოციალური თვალსაზრისით, მუნიციპალიტეტის მაღალ მოწყვლადობაზე, აღსანიშნავია, რომ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ყველაზე დაბალი მაჩვენებელი გამოიკვეთა ისეთი ოჯახებისა, რომელსაც არ ყავს ოჯახში შემოსავლის შემომტანი პირი, რაც შეგვიძლია დავაკავშიროთ იმასთან, რომ მაღალია სახელმწიფო გასაცემელის მიმღებთა მაჩვენებელი. ბავშვიანი ოჯახების ერთ-ერთ მთავარ სოციალურ პრობლემად, დაბალი შემოსავლები დასახელდა, განსაკუთრებით ფასების ზრდისა და ინფლაციის გათვალისწინებით. დაბალი შემოსავლების მქონე ოჯახები საჭიროებენ: დასაქმებას, გადამზადების და შემოსავლების მომტანი საქმიანობის წახალისება / მხარდაჭერას, გამოკითხულ პირთა განმარტებით არსებული შემოსავლები იმდენად დაბალია, რომ ვერ უზრუნველყოფს ოჯახის საჭიროებების დაკმაყოფილებას. სიღარიბეში მცხოვრები ბავშვიან ოჯახებთან მიმართებით არსებული პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთ გზად დასახელდა ისეთი ფონდის შექმნა რომელიც შესაძლებლობას მისცემს მუნიციპალიტეტს თითოეული ბავშვიანი ოჯახის ინდივიდუალური საჭიროებების საპასუხოდ იმოქმედოს და ადგილობრივ დონეზე ეფექტურად გადაწყვიტოს პრობლემა.
ამასთანავე კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა ისეთი გარემოება, რომ არსებული სოციალური დახმარების სისტემა რომელიც გათვლილია ადამიანებისთვის ფულად გასაცემელზე ხშირად იწვევს მათ გაპასიურებას და აქცევთ მათ სოციალური დახმარების პასიურად მიმღებ პირებად. მოსახელობის მითითებით პრობლემურია ისიც, რომ კონკრეტული სოციალური პროგრამები არის ერთჯერადი ხასიათის, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ოჯახის საჭიროებების გრძელვადიანად დაკმაყოფილებას და მათ გაძლიერებას იმგვარად, რომ თავი დააღწიონ სიღარიბეს.
ასევე გამოიკვეთა პრობლემა სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებით სარგებლობის, რომელიც გააჩნია ისეთ სოფლებში მცხოვრებ პირებს, სადაც ბაღის არ არსებობის გამო სხვა სოფელში უხდებათ ბავშვების ტრანსპორტირება, მაგალითად ჭელიაღელის ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც აერთიანებს 5 სოფელს და აქვს მხოლოდ 1 საბავშვო ბაღი, საჭიროებს სოფლებიდან ბავშვების ტრანსპორტირებას, კვლევის ფარგლებში გრძელდება სხვა სოფლების მდგომარეობის შესწავლა.

ანკეტური გამოკითხვის საფუძველზე დადგინდა რომ სტატისტიკურად ყველაზე მეტი პირი მოხვდა ღარიბი ბავშვიან ოჯახების კატეგორიაში, მუნიციპალიტეტის მხრიდან ოჯახების მხარდასაჭერად შესაბამისი ღონისძიებებია ოჯახების უმრავლესობა არის სოციალურად დაუცველი და იღებს კანონით გათვალისწინებულ სოციალურ შემწეობას, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა განპიროვნებულია ოჯახის წევრების დასაქმების პრობლემით

ან/და დასაქმებულთა დაბალი ანაზღაურებით, კვლევის შედეგად გამოიკვეთა ისეთი საჭიროებები როგორიცაა სათანადო საკვების აუცილებლობა, ტანსაცმელი, საკითხავი ლიტერატურა, საკანცელარიო და საყოფაცხოვრებო ნივთები, ინტერნეტ სერვისებით სარგებლობაზე მისაწვდომობა.

პროგრამაზე მუშაობის დროს გასათვალისწინებელია ის გარემოებაც რომ სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვებზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების რაოდენობა რომლებიც სარგებლობენ კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების ქვეპროგრამის შესაბამისი დახმარებით კვების 500 ლარიანი ვაუჩერით სარგებლობს 68 ბენეფიციარი, პროგრამით მოსარგებლეთა კატეგორიაში ხვდებიან სოციალურად დაუცველი ოჯახები რომელთა სარეიტინგო ქულა შეადგენს 65 000 ათას, 2022 წლისთვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული თანხა გაიზრდება 800 ლარამდე თითოეული ბავშვისთვის რომელიც დააკმაყოფილებს პროგრამით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს.

მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ან/და ქრონიკულ სიღარიბეში მცხოვრები ოჯახების (განსაკუთრებით ბავშვიანი ოჯახების) მხარდამჭერი პროგრამების განვითარება ადგილობრივ დონეზე, რაც უნდა ითვალისწინებდეს მოქნილი ფონდის არსებობას ბავშვიანი ოჯახებისათვის სხვადასხვა ინდივიდუალურ საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, რომელიც დაფუძნებულ იქნება შესაბამის შეფასებასა და მოკვლევაზე; ამასთან, მნიშვნელოვანია ეს მხარდაჭერა ოჯახებს მიწოდებოდეთ არა როგორც განცალკავებული დახმარება, არამედ როგორც ბავშვიან ოჯახებთან მუშაობის ერთ-ერთი კომპონენტი, მშობელთა განათლებასა და სხვა სახის მხარდაჭერასთან ერთად.

სამუშაო ჯგუფი აგრძელებს საჭიროებათა კვლევას და საბოლოო შედეგი წარმოდგენილი იქნება კალენდარული გრაფიკით გაწერილ ვადაში ანგარიშის სახით.

**ბიბლიოგრაფია;**


1. რაოდენობრივი კვლევის ანგარიში „სოციალური სერვისების საჭიროებების კვლევა ამბროლაურში“, ხათუნა ნაჭყებია, 2021

2. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N24 (2021 წლის 16 დეკემბერი) ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

3. ამბროლაურის მუნციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს ოქმი N1 (2021 წლის 29 მარტი);

4.საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდი https://www.geostat.ge/ka.

5.სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდი http://ssa.gov.ge/.

6.ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 16 დეკემბრის N20 დადგენილება „ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის და მიზნობრივი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“.

7. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 16 დეკემბრის N18 „ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე მოქალაქეთა სოციალური დაცვის პროგრამისა და ბენეფიტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილება.

8. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 16 დეკემბრის N19 „ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების პროგრამისა და მიზნობრივი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილება.

9.საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 დეკემბრის N634 დადგენილება „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2022 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“.

## საჭიროებათა კვლევის საბოლოო ანგარიში

### 1. შესავალი

საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის“ კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად 2020 წლის 1 სექტემბრიდან მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილება გახდა ბავშვის უფლებების დაცვისა და ბავშვიანი ოჯახების მხარდამჭერი პროგრამების შემუშავება, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მხარდაჭერის მიზნით, ყოველწლიურად იქმნებოდა და ხორციელდებოდა სოციალურ და ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამები, 2018-2020 წლებში საკანონმდებლო დონეზე განხორციელებული ცვლილებების - „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ და „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე გაიზარდა მუნიციპალიტეტის, როგორც მოსახლეობასთან ყველაზე ახლოს მდგომი ხელისუფლების ფუნქცია და როლი ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური დაცვის სფეროში, ადგილობრივი თვითმმართველობა გახდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტორი ბავშვზე ფოკუსირებული სოციალური პოლიტიკის და ადგილობრივი სოციალური პროგრამების დაგეგმვის პროცესის.

თვითმმართველობისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ეფექტურად განხორციელების მიზნით ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ხორციელდება პროექტი „ბავშვთა დაცვის სისტემების და მომსახურებების გაძლიერება საქართველოში“. პროექტის ფარგლებში ამბროლაურის მუნიციპალიტეტსა და საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციას შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომლის მიზანია ბავშვსა და ბავშვიან ოჯახზე მორგებული სოციალური პროგრამირების შემუშავებაში მუნიციპალიტეტის ხელშეწყობა.

მემორანდუმის ხელმომწერი მხარეები თანამშრომლობენ შემდეგ საკითხებზე:

1. ადგილობრივ დონეზე სოციალური საჭიროებების კვლევის შეთანხმებული მეთოდოლოგიის და ინსტრუმენტების გამოყენებით ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებების კვლევის ჩატარება;
2. საჭიროებათა კვლევის მიგნებებზე დაფუძნებული სოციალური პროგრამების პაკეტის შემუშავება.
3. ახალი მეთოდოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენებით შემუშავებული და განხორციელებული სოციალური პროგრამების შეფასება.

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ასოციაციის მიერ შემოთავაზებული იქნა საჭიროებათა კვლევის მოდელი რომელიც ეფუძნება EU მეთოდოლოგიას , რომელიც წარმატებით გამოიყენება EU ფონდების და EU წევრი სახელმწიფოების მიერ, სოციალური პროექტების შემუშავებისთვის. აღნიშნული მეთოდოლოგია გვთავაზობს საჭიროების კვლევისადმი კომპლექსურ მოდგომას, რომელიც გულისხმობს, როგორც სამიზნე ჯგუფების საჭიროებების გამოვლენას, ასევე მათ დანახვას ადგილობრივი თემის საჭიროებების კონტექსტში.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურში შექმნილია მეორადი სტრუქტურული ერთეული (განყოფილება)ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება, რომელიც შეიმუშავებს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამებს. გასულ წელს ჩატარებული კვლევის საფუძველზე შემუშავდა სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვის მატერიალური დახმარების პროგრამა,

აღნიშნული პროგრამით მოსარგებლეა სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვი, რომელსაც ესაჭიროება ფულადი დახმარება.
მერის წარმომადგენლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე გამოვლინდა სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი 57 ბავშვი, რომელთაც მუნიციპალიტეტის მხრიდან ესაჭიროებათ მხარდაჭერა. ბავშვიანი ოჯახების ძირითად პრობლემას წარმოადგენდა ოჯახის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობა, რაც განაპირობებდა ოჯახის სოციალური საფრთხის წინაშე ყოფნას, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოიყო 28 500 (ოცდარვა ათას ხუთასი) ლარი, ბავშვების დასახმარებლად. თითოეულ ბავშვზე გაიცემა ერთჯერადად თანხა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.
აღნიშნული კვლევის მიზანია შესწავლილ იქნეს ერთის მხრივ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში არსებული გამოწვევები და საჭიროებები სოციალური მიმართულებით, ხოლო მეორეს მხრივ უკვე არსებული სოციალური პროგრამები და მათი შესაბამისობა ამ საჭიროებებთან. ასევე, ამ კონკრეტულ საჭიროებათა იდენტიფიცირება, რომელიც რჩება მოქმედი მუნიციპალური სოციალური პროგრამების მიღმა.
მომავალი საბიუჯეტო წლისთვის ბავშვთა უფლებებისა და მხარდაჭერის პროგრამების სწორად დაგეგმვის მიზნით საჭიროებათა კვლევის ჩატარების აუცილებლობაზე მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი იქნა ინფორმაცია სავარაუდო საკვლევი სამიზნე ჯგუფების შესახებ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერმა გამოსცა ბრძანება (N 76.76221458 25.05.2022) ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის სამუშაო ჯგუფის შექმნისა და სამუშაო ჯგუფის დებულების დამტკიცების შესახებ.
სამუშაო ჯგუფი დაკომპლექტებული იქნა მერიის ადმინისტრაციული, საფინანსო, სოციალური, იურიდიული, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებისა და განათლება, კულტურა, ძეგლთა დაცვის განყოფილების წარმომადგენლებისგან. ამ ბრძანების საფუძველზე სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყო ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის ჩატარება, ბრძანებით დამტკიცებული სამიზნე ჯგუფების მიხედვით:

1. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი (სტატუსის მქონე/სტატუსის არმქონე), აგრეთვე განვითარების სირთულის მქონე ბავშვი“;
2. „მშობლის მზრუნველობას მოკლებული ბავშვი (მ.შ.: ობოლი ან მარჩენალდაკარგული ბავშვი, მშობლის მიგრაციის გამო ნათესავებთან დროებით მცხოვრები ბავშვი)“;
3. „ბავშვი ღარიბი ოჯახიდან, რომლის მშობელი/მეურვე არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი“;
4. „ღარიბი ბავშვიანი ოჯახი (სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე/სტატუსის არმქონე) და ღარიბი მრავალშვილიანი ოჯახი“.

## 2. მუნიციპალიტეტის აღწერა

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი მდებარეობს რაჭა – ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ცენტრალურ ნაწილში. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია ქ.

ამბროლაური. განეკუთვნება მაღალმთიან დასახლებას, ქალაქი ამბროლაურის გარდა მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შედის 18 ტერიტორიული ერთეული (თემები), რომლებშიც გაერთიანებულია 69 სოფელი. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ფართობი შეადგენს 1 139.2 კვ. კმ-ს, მოსახლეობა რეგისტრირებული 13520 პირი, მუდმივად მცხოვრები 12 100 პირი, 0-დან 18 წლის ასაკის პირი - 1988. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 13 567 000 ლარი, სოციალური დაცვის პროგრამებისთვის განკუთვნილი თანხა 606 000 ლარი. მუნიციპალიტეტი გამოირჩევა ხანდაზმული მოსახლეობის მაღალი რიცხოვნობით, მოსახლეობის რიცხოვნობის კლება და დაბერება არის ერთ-ერთი მწვავე პრობლემა, რომელიც უარყოფითად აისახება რეგიონის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე. აქვე, უნდა აღინიშნოს რომ რთული დემოგრაფიული მდგომარეობა გაპირობებულია შობადობის დაბალი და სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლით, შიდა და გარე მიგრაციით.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მოქმედებს ბავშვთა სოციალური დახმარებისა და ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერის სხვადასხვა სახის პროგრამები, როგორც სოციალური დაცვის ასევე განათლების ხელშეწყობის პროგრამები რომელზეც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2021 წელს დაიხარჯა- 409969.6 ლარი (სოციალური/ჯანდაცვა- 367277.6; განათლება-42692).

**ქვეპროგრამა – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 0-დან 18 წლამდე ასაკი ბავშვის ერთჯერადი დახმარება**

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვი, ერთჯერადი ფულადი დახმარება 300 (სამასი) ლარის ოდენობით გაიცემა ოჯახზე /წარმომადგენელზე. ბენეფიციართა რაოდენობა 15, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაცემულია 4500 ლარი.

**ქვეპროგრამა მრავალშვილიან (სამი და მეტი 0-18 წლამდე ასაკის ბავშვი) ოჯახზე ერთჯერადი ფულადი დახმარება**

მრავალშვილიან (სამი და მეტი 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვი) ოჯახზე, გაიცემა ერთჯერადი ფულადი დახმარება 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით, დღეის მდგომარეობით 115 ოჯახზე გაცემულია 48 000 (ორმოცდარვა ათასი) ლარი.

**ქვეპროგრამა მარჩენალდაკარგული (0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვი) ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება**

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მარჩენალდაკარგულთა ერთჯერადი ფულადი დახმარება გაიცემა ოჯახზე/წარმომადგენელზე:

ა) ერთ-ერთი მშობლის გარდაცვალების შემთხვევაში - მშობელზე 300(სამასი) ლარის ოდენობით (32 ბენეფიციარი, გაცემულია 9 600 (ცხრაათას ექვსასი) ლარი.

ბ) ორივე მშობლის გარდაცვალების შემთხვევაში - წარმომადგენელზე 600(ექვსასი) ლარის ოდენობით. (ერთი ოჯახია, გაცემულია 600 ლარი).

**ქვეპროგრამა მარტოხელა მშობლის ერთჯერადი ფინანსური დახმარება**

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მარტოხელა მშობელს, რომელსაც ჰყავს 0 -დან 18 წლამდე ასაკის ბავშვი, მიეცემა ერთჯერადი ფინანსური დახმარება 300 (სამასი) ლარის ოდენობით. (დღეის მდგომარეობით გაცემულია 2 მარტოხელა მშობელზე 600 ლარი)

<u>**ქვეპროგრამა - ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა დიეტური კვებით მკურნალობა**</u> ქვეპროგრამით მოსარგებლეა ფენილკეტონური დაავადების მქონე პირი, რომელსა ავადობის დიაგნოზით სჭირდება უწყვეტი დიეტოთერაპია. დასახელებული დაავადების მქონე ბავშვებს აუცილებელი სპეციალური უცილო პროდუქტი დაუფინანსდებათ წლიური ლიმიტით არაუმეტეს 3500 (სამი ათას ხუთასი) ლარით.

მუნიციპალიტეტი ახორციელებს სამედიცინო დახმარების ქვეპროგრამებს რომელიც გულისხმობს მედიკამენტური მკურნალობის დაფინანსებას, მაღალტექნოლოგიური სამედიცინო მომსახურების და ქირურგიული მომსახურების დაფინანსებას სამედიცინო მომსახურების ფარგლებში 2021 წელს დაფინანსება გაიცა 11 ბავშვზე, ჯამში 8877, 6 ლარი.

განათლება, კულტურა სპორტი და ახალგაზრდობის ხელშეწყობის მიზნით მერია ახორციელებს შემდეგ ქვეპროგრამებს:

<u>**ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდულ ღონისძიებათა დაფინანსების პროგრამა -**</u> პროგრამის ფარგლებში ფინანსდება: მუნიციპალიტეტის გარეთ, ქვეყნის მასშტაბით, სხვადასხვა სახის ღონისძიებებზე მიწვევის, სპორტული ფორმების შეძენა და გამარჯვებულთა დაჯილდოვება - სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაში მონაწილე გუნდებისათვის, კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიების მოწყობა, სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობა. აღნიშნული პროგრამით 2021 წელს ისარგებლა 100-მდე ბენეფიციარმა. ჯამში პროგრამის განხორციელების თანხა - 13750 ლარი;

<u>**ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებებზე წვდომის (სამგზავრო გადაყვანის) ხელშეწყობის პროგრამა**</u> - პროგრამით მოსარგებლეა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსწავლე-ახალგაზრდებისათვის, ქალაქ ამბროლაურში მდებარე სხვადასხვა პროფილის სკოლისგარეშე დაწესებულებების სასწავლო პროგრამების, ასევე მათგან გამომდინარე, თანმდევი ინიციატივების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. აღნიშნული პროგრამით 2021 წელს ისარგებლა 350-მდე ბენეფიციარმა. ჯამში პროგრამის განხორციელების თანხა - 15742 ლარი;

<u>**ამბროლაურის მუნიციპალიტეტის განათლების სფეროში საპატიო წოდებების მინიჭებისა და განათლების ხელშეწყობის პროგრამა**</u> - პროგრამა მოიცავს ოქროს და ვერცხლის მედალოსნების ფულადი დახმარებას (ოქროზე 300 ლარი, ვერცხლზე 200 ლარი), აგრეთვე საჯარო სკოლის 6 სოციალურად დაუცველ, წარჩინებულ მოსწავლისათვის კომპიუტერის (ლეპტოპის) გადაცემას. 2021 წელს ოქროს მედალოსნების ქვეპროგრამით ისარგებლა 5-მა ბენეფიციარმა, ვერცხლის მედალოსნის დახმარებით ისარგებლა 4-მა ბენეფიციარმა. ჯამში მედალოსნებზე გაიცა 3 000 ლარი. პროგრამით განსაზღვრული კომპიუტერი (ლეპტოპი) გადაეცა 6 მოსწავლეს, ღირებულებით 10200 ლარი.

<u>**ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეთა საზაფხულო ბანაკის პროგრამა.**</u> პროგრამის მოსარგებლეა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლის მეთერთმეტე კლასელები, რომლებიც არაუმეტეს 10 (ათი) დღით გაემგზავრებიან ახალგაზრდულ ბანაკში აქტიური დასვენებისათვის. ამბროლაურის მუნიციპალიტეტი კოვიდ 19-ის პანდემიამდე ახორციელებდა (პროგრამა ბოლოს

განხორციელდა 2019 წელს) 2019 წელს პროგრამით ისარგებლა 13 ბენეფიციარმა. ჯამში 10 175 ლარი.

### 3. კვლევის აღწერა

კვლევის მიზანია შესწავლილ იქნეს ერთის მხრივ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში არსებული გამოწვევები და საჭიროებები სოციალური მიმართულებით, ხოლო მეორეს მხრივ შეფასდეს უკვე არსებული სოციალური პროგრამები და მათი შესაბამისობა მოსახლეობის საჭიროებებთან. ასევე, იმ კონკრეტულ საჭიროებათა იდენტიფიცირება, რომელიც რჩება მოქმედი მუნიციპალური სოციალური პროგრამების მიღმა, უფრო კონკრეტულად კი, კვლევის ამოცანებია:

- განისაზღვრება მიზნობრივი/მოწყვლადი ჯგუფები;
- გამოიკვეთება მიზნობრივი ჯგუფის საჭიროებანი;
- მოხდება საჭიროებათა რანგირება (პრიორიტეტიზაცია);
- მოხდება საჭიროებათა წარმომქმნელი ფაქტორების ანალიზი;
- გამოიკვეთება სოციალური პოლიტიკის მიმართულებები;
- შემუშავდება საჭიროებაზე დაფუძნებული მუნიციპალური პროგრამები;

ადგილობრივი მოსახლეობისა და კვლევის სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლებისთვის კვლევის დაწყების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლები.
კვლევის მოსამზადებელ ეტაპზე გამოიკვეთა სამიზნე და მოწყვლადი ჯგუფები, ჩატარებულია სამიზნე ჯგუფების აღწერა, მოძიებულია სტატისტიკური მონაცემები.
ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ შესრულდა შემდეგი სამუშაოები: სამიზნე ჯგუფის წევრთა შესახებ მონაცემთა შეგროვება დასახლებების დონეზე, შეგროვებულ მონაცემთა გარდაქმნა სტატისტიკურ ინფორმაციად, ანკეტური გამოკითხვა რესპონდენტებთან და შევსებული ანკეტების გადაგზავნა სამუშაო ჯგუფისთვის;
მონაცემთა შეგროვების შედეგად რაოდენობრივი მონაცემები გამოიყურება შემდეგი სახით:

| სამიზნე ჯგუფი | ბავშვთა რაოდენობა | გამოკითხული რესპოდენტების რაოდენობა | ქვეჯგუფი/რაოდენობა |
|---|---|---|---|
| „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი | 24 | 11 | განვითარების სირთულის მქონე ბავშვი -4<br>შშმ სტატუსის მქონე -17<br>შშმ სტატუსის არმქონე-3 |
| მშობლის მზრუნველობას მოკლებული ბავშვი | 35 | 8 | ობოლი -3<br>ნათესავებთან დროებით მცხოვრები -5<br>მარჩენალდაკარგული -27 |

| | | | |
|---|---|---|---|
| ბავშვი ღარიბი ოჯახიდან რომლის მშობელი/მეურვე არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი | 3 | 1 | მშობელი/მეურვე არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი - 2 |
| ღარიბი ბავშვიანი ოჯახი და ღარიბი მრავალშვილიანი ოჯახი | 75 | 21 | ღარიბი მრავალშვილიანი ოჯახი - 36 ღარიბი ბავშვიანი ოჯახი - 39 |
| ძალადობის მსხვერპლი ბავშვი ბავშვი"- | 0 | 0 | 0 |

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით ყველაზე მეტი 54% ბავშვი მოხვდა ღარიბი ბავშვიანი ოჯახების სამიზნე ჯგუფში, სამიზნე ჯგუფების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი იქნა ყველა ადმინისტრაციული ერთეულიდან გარდა ხოტევისა და ველევის ადმინისტრაციული ერთეულისა, რადგან ამ ადმინისტრაციული ერთეულებში სამიზნე კატეგორიის მქონე ბავშვები არ აღმოჩდნენ.

მუნიციპალიტეტი უკვე წლებია სოციალურ პროგრამას ახორციელებს მარჩენალდაკარგულ, მრავალშვილიან ოჯახებზე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებზე, ასევე სახელმწიფოს მიერ ხორციელდება კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების პროგრამა, ადრეული განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა დახმარების და შშმ ბავშვთა დღის ცენტრით სარგებლობის პროგრამა. პროგრამების უმრავლესობა ერთჯერადი ხასიათისაა და როგორც კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა მოსახლეობა არაეფექტურად თვლის სოციალური დახმარების ერთჯერადად გაცემას, რადგანაც იგი ნაკლებადაა შედეგზე ორიენტირებული.

კვლევის ფარგლებში ინფორმაციის შეგროვება განხორციელდა როგორც პირველადი ინფორმაციის წყაროებისგან ფოკუს ჯგუფების გამოყენებით, ასევე, გადამოწმებულ იქნა მეორეული წყაროები, რაც მოიაზრებს დოკუმენტაციის ანალიზს, მათ შორის, ხელმისაწვდომი კვლევებისა და ანგარიშების/შეფასებების მიმოხილვას, სტატისტიკური და სხვა სახის მონაცემების დამუშავებას შესწავლის მიზნებისთვის. კვლევაში ჩართვის მიზნით მუნიციპალიტეტში მოქმედ არასამთავრობო სექტორს ეთხოვა მოსაზრებების წარმოდგენა. ამისათვის ოფიციალურად მივმართეთ ა(ა)იპ „რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის თვითმმართველობის რესურს ცენტრს" რომელიც ახორციელებს დღის ცენტრის პროგრამას პროგრამის ფარგლებში სარგებლობს 18 ბენეფიციარი და ა(ა)იპ „ერთად რეალური ცვლილებებისათვის" რომელიც 6 ადრეული განვითარების შეფერხების მქონე ბავშვისთვის ატარებს სარეაბილიტაციო პროგრამას. ასევე ბავშვთა საჭიროებების გამოსაკვეთად ფოკუს ჯგუფში მოწვეული იქნენ სამიზნე ჯგუფის ბავშვების მშობლები და ა(ა)იპ „ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების" ხელმძღვანელი.

4.საჭიროებათა კვლევის შედეგად:

-განისაზღვრა მიზნობრივი/მოწყვლადი ჯგუფები;

- გამოიკვეთა მიზნობრივი ჯგუფის საჭიროებანი;

-მოხდა საჭიროებათა რანგირება (პრიორიტეტიზაცია).

-2023 წლისთვის ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამას დაემატა მუხლი2-ის ბ ქვეპუნქტი:

ბ) მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ბავშვიან ოჯახზე, რომელიც დახმარების თხოვნის მომენტში, სხვადასხვა მიზეზების გამო, განიცდის უკიდურეს გასაჭირს/ოჯახი საჭიროებს დაუყონებლივ მხარდაჭერას და ამ პროგრამის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფულადი დახმარება არ არის საკმარისი საკითხის გადასაწყვეტად, გაიცემა დახმარება ერთჯერადად არაუმეტეს 2 000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.

სოციალური მომსახურების სააგენტოს, 2022 წლის მონაცემების თანახმად, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის 34,18 % არის სოციალური შემწეობის მიმღები (4621 პირი). აღნიშნული მიუთითებს, სოციალური თვალსაზრისით, მუნიციპალიტეტის მაღალ მოწყვლადობაზე, აღსანიშნავია, რომ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ყველაზე დაბალი მაჩვენებელი გამოიკვეთა ისეთი ოჯახებისა, რომელსაც არ ყავს ოჯახში შემოსავლის შემომტანი პირი, რაც შეგვიძლია დავაკავშიროთ იმასთან, რომ მაღალია სახელმწიფო გასაცემელის მიმღებთა მაჩვენებელი. ბავშვიანი ოჯახების ერთ-ერთ მთავარ სოციალურ პრობლემად, დაბალი შემოსავლები დასახელდა, განსაკუთრებით ფასების ზრდისა და ინფლაციის გათვალისწინებით. დაბალი შემოსავლების მქონე ოჯახები საჭიროებენ: დასაქმებას, გადამზადების და შემოსავლების მომტანი საქმიანობის წახალისება / მხარდაჭერას, გამოკითხულ პირთა განმარტებით არსებული შემოსავლები იმდენად დაბალია, რომ ვერ უზრუნველყოფს ოჯახის საჭიროებების დაკმაყოფილებას. სიღარიბეში მცხოვრები ბავშვიან ოჯახებთან მიმართებით არსებული პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთ გზად დასახელდა ისეთი ფონდის შექმნა რომელიც შესაძლებლობას მისცემს მუნიციპალიტეტს თითოეული ბავშვიანი ოჯახის ინდივიდუალური საჭიროებების საპასუხოდ იმოქმედოს და ადგილობრივ დონეზე ეფექტურად გადაწყვიტოს პრობლემა.
ამასთანავე კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა ისეთი გარემოება, რომ არსებული სოციალური დახმარების სისტემა რომელიც გათვლილია ადამიანებისთვის ფულად გასაცემელზე ხშირად იწვევს მათ გაპასიურებას და აქცევთ მათ სოციალური დახმარების პასიურად მიმღებ პირებად. მოსახელობის მითითებით პრობლემურია ისიც, რომ კონკრეტული სოციალური პროგრამები არის ერთჯერადი ხასიათის, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ოჯახის საჭიროებების გრძელვადიანად დაკმაყოფილებას და მათ გაძლიერებას იმგვარად, რომ თავი დააღწიონ სიღარიბეს.
ასევე გამოიკვეთა პრობლემა სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებით სარგებლობის, რომელიც გააჩნია ისეთ სოფლებში მცხოვრებ პირებს, სადაც ბაღის არ არსებობის გამო სხვა სოფელში უხდებათ ბავშვების ტრანსპორტირება, მაგალითად ჭელიაღელის ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც აერთიანებს 5 სოფელს და აქვს მხოლოდ 1 საბავშვო ბაღი, საჭიროებს სოფლებიდან ბავშვების ტრანსპორტირებას, კვლევის ფარგლებში გრძელდება სხვა სოფლების მდგომარეობის შესწავლა.

ანკეტური გამოკითხვის საფუძველზე დადგინდა რომ სტატისტიკურად ყველაზე მეტი პირი მოხვდა ღარიბი ბავშვიან ოჯახების კატეგორიაში, მუნიციპალიტეტის მხრიდან ოჯახების მხარდასაჭერად შესაბამისი ღონისძიებებია ოჯახების უმრავლესობა არის სოციალურად დაუცველი და იღებს კანონით გათვალისწინებულ სოციალურ შემწეობას, მაგრამ არიან ისეთი ოჯახები რომლებსაც სოციალურად დაუცველის სტატუსი არ გააჩნიათ მაგრამ მათი მდგომარეობა უფრო რთულია ვიდრე სტატუსის მქონე ოჯახების, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა განპიროვნებულია ოჯახის წევრების დასაქმების პრობლემით ან/და დასაქმებულთა დაბალი ანაზღაურებით, კვლევის შედეგად გამოიკვეთა ისეთი საჭიროებები როგორიცაა სათანადო საკვების აუცილებლობა, მძიმე საცხოვრებელი პირობები, სეზონის შესაბამისი ტანსაცმელის საჭიროება, საყოფაცხოვრებო ნივთების არარსებობა, საკანცელარიო -სასწავლო პროცესში ჩასართავად საჭირო ინვენტარზე და ინტერნეტ სერვისებით სარგებლობაზე მისაწვდომობის პრობლემა.

მუნიციპალიტეტის პროგრამა ისე უნდა იყოს შედგენილი რომ პასუხობდეს საჭიროებათა კვლევის შედეგად გამოკვეთილი პრობლემების ნაწილობრივ მოგვარებას მაინც მართალია სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ფინანსდება კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახები კვების ვაუჩერით, მუნიციპალიტეტში სარგებლობს 68 ბენეფიციარი და 2022 წლისთვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული თანხა იზარდება 800 ლარამდე მაინც საჭიროა მუნიციპალიტეტის მხრიდან ისეთი პროგრამების განხორციელება რომელიც კვების დაფინანსების თემატიკას შეეხება და არ იქნება გათვლილი სარეიტინგო ქულაზე. საჭიროებათა კვლევამ აჩვენა რომ საჭიროა კვლავ უნდა გაგრძელდეს სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვების ფინანსური დახმარების ქვეპროგრამა რომელიც ითვალისწინებდა მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვების კვების, მედიკამენტების, საკანცელარიო ნივთების, ტანსაცმლის შესაძენად ერთჯერად დახმარებას, გარდა ამისა საჭიროებათა კვლევამ აჩვენა რომ საჭიროა მუნიციპალიტეტმა მოახდინოს კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ან/და ქრონიკულ სიღარიბეში მცხოვრები ოჯახების მხარდამჭერი პროგრამების განხორციელება რომლის მიზანიც იქნება ბავშვების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, რაც უნდა ითვალისწინებდეს მოქნილი ფონდის არსებობას ბავშვიანი ოჯახებისათვის სხვადასხვა ინდივიდუალურ საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. შესწავლილი ოჯახებიდან გამომდინარე დახმარება უნდა გაეწიოს მინიმუმ 5 ოჯახს მაინც, ისე რომ მოხდეს ოჯახებში არსებული კონკრეტული გამოწვევის დაძლევა.

სამუშაო ჯგუფმა დაასრულა საჭიროებათა კვლევა, გამართა შემაჯამებელი სხდომა და განიხილა საჭიროებათა კვლევის საბოლოო ანგარიში.

**ბიბლიოგრაფია;**

1. რაოდენობრივი კვლევის ანგარიში „სოციალური სერვისების საჭიროებების კვლევა ამბროლაურში“, ხათუნა ნაჭყებია, 2021

2. ამბროლაურის მუნციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N24 (2021 წლის 16 დეკემბერი) ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

3. ამბროლაურის მუნციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს ოქმი N1 (2021 წლის 29 მარტი);

4.საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდი https://www.geostat.ge/ka.

5.სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდი http://ssa.gov.ge/.

6.ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 16 დეკემბრის N20 დადგენილება „ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის და მიზნობრივი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ".

7. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 16 დეკემბრის N18 „ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე მოქალაქეთა სოციალური დაცვის პროგრამისა და ბენეფიტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" დადგენილება.

8. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 16 დეკემბრის N19 „ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების პროგრამისა და მიზნობრივი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" დადგენილება.

9.საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 დეკემბრის N634 დადგენილება „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2022 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ".

პროექტი

**ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**
**დადგენილება №**
**2022 წლის დეკემბერი**

ქ. ამბროლაური

**ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის და მიზნობრივი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებათა კოდექსის" 96-ე მუხლის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის, საფუძველზე ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1**

დამტკიცდეს „ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა და მიზნობრივი დახმარების გაცემის წესი" დანართი N 1-ის შესაბამისად.

**მუხლი *2***

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის და მიზნობრივი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის დადგენილება N20 (www.matsne.gov.ge 20/12/2021წ: სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.117.016502).

**მუხლი *3***

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 01 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე　　　　　　　　　　ასლან საგანელიძე

პროექტი

# ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა და მიზნობრივი დახმარების გაცემის წესი

## მუხლი 1. პროგრამის რეგულირების სფერო და მიზანი

1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა (შემდგომში - პროგრამა) განსაზღვრავს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის (შემდგომში - მუნიციპალიტეტი) ტერიტორიაზე რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე ბავშვებზე, ასევე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული – დევნილი ბავშვებისათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გასაცემი თანხის ოდენობასა და გაცემის წესს.

2. პროგრამის მიზანია ბავშვის უფლებების დაცვა, ბავშვისა და ოჯახების მხარდაჭერა, ბავშვის ოჯახების გაძლიერება მათი ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, კრიზისული მდგომარეობის დაძლევაში მხარდაჭერა.

3. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაიცემა ერთჯერადი ფულადი დახმარება რომლის გამოყენებაც უნდა მოხდეს ბავშვის სასწავლო პროცესში ჩასართავად, საკანცელარიო ნივთების შესაძენად, ბავშვის კვებისა და მედიკამენტების ხარჯების დასაფარად და ოჯახის მდგომარეობიდან გამომდინარე ბავშვისთვის აუცილებელი სხვა საჭირო ღონისძიებების განსახორციელებლად.

## მუხლი 2. ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა

1. დახმარება გაიცემა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან:

ა) ერთჯერადად 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მცხოვრებ სოციალური საფრთხის წინაშე მყოფ ბავშვზე რომელსაც ესაჭიროება ფინანსური დახმარება.

ბ) მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ბავშვიან ოჯახზე, რომელიც დახმარების თხოვნის მომენტში, სხვადასხვა მიზეზების გამო განიცდის მძიმე კრიზისულ მდგომარეობას ან შექმნილი სირთულეებიდან გამომდინარე საჭიროებენ მხარდაჭერას დროის უმოკლეს პერიოდში ბავშვის საჭიროებისა და საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით გაიცემა დახმარება ერთჯერადად არაუმეტეს 2 000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული ფინანსური დახმარება გაიცემა ერთ ოჯახში მცხოვრებ თითოეულ ბავშვზე, ხოლო "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დახმარება გაიცემა ბავშვის ოჯახზე და დახმარების ზუსტ ოდენობას წარმოქმნილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შემდგომ განსაზღვრავს მერის ბრძანების საფუძველზე შექმნილ სოციალური პროგრამებისა და სოციალური საკითხების შემსწავლელ სამუშაო ჯგუფი (შემდგომში – სამუშაო ჯგუფი).

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხით შესაძლებელია დაფინანსდეს მძიმე საცხოვრებელ პირობებში/კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახის საცხოვრებელ ფართში მცირე სარემონტო სამუშაოები, ბავშვისთვის საჭირო საცხოვრებელი პირობების შესაქმნელად ინვენტარისა და ავეჯის შეძენა, საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ (გამრიცხველიანებულ) ფართში გათბობის მოწყობა, მხოლოდ ლოკალური/ადგილობრივი გამათბობელის მონტაჟით და სხვა კრიზისის დაძლევისთვის საჭირო ღონისძიებები.

## მუხლი 3 ფულადი დახმარების გაცემა

1. პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსების მიღების მიზნით ბავშვის მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარადგინოს:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ)კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

დ) ბავშვის დაბადების მოწმობის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე) ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან ოჯახის სარეიტინგო ქულის შესახებ; (საჭიროების შემთხვევაში)

ვ) შშმ ან სსმ პირის შემთხვევაში შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ზ)ცნობა ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა N IV-100/ა დედანი) (საჭიროების შემთხვევაში).

თ) ბავშვის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის საბანკო ანგარიში;

2. განცხადებას განიხილავს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება, რომელიც ამოწმებს შემოსულ განცხადებებს და სრულყოფილ დოკუმენტაციას განსახილველად გადასცემს სამუშაო ჯგუფს, ხოლო განცხადებებში აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში მიმართავს განმცხადებელს ხარვეზის გამოსასწორებლად.

3. დახმარების გაცემის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის (შემდგომში სოციალური მუშაკი) მიერ ბავშვისა და ოჯახის შეფასების შედეგად წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე, სამუშაო ჯგუფი განიხილავს სოციალური მუშაკის მიერ შედგენილ დასკვნას ოჯახის მდგომარეობის შეფასების შესახებ და სხდომის ოქმით იღებს გადაწყვეტილებას დახმარების გაცემისა შესახებ.

4. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმის საფუძველზე ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

5. დაფინანსების გაცემა ხდება მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტის (ბრძანება) საფუძველზე.

6.თანხა გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორებით.

**მუხლი 4. სამუშაო ჯგუფის მუშაობის წესი**

1. სამუშაო ჯგუფში შედიან მერიის და საკრებულოს წარმომადგენლები, მათ შორის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების საჯარო მოხელეები, სამუშაო ჯგუფი გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით (არანაკლებ სამუშაო ჯგუფის საერთო შემადგენლობის 2/3), ხმათა თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში, თავმჯდომარეს აქვს გადამწყვეტი ხმა;

2. სამუშაო ჯგუფი დახმარების გაცემის საკითხის განხილვისას ხელმძღვანელობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავით გათვალისწინებული მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესებით;

3. სამუშაო ჯგუფი იკრიბება არანაკლებ თვეში 3-ჯერ, გადაუდებელი აუცილებლობის არსებობისას განცხადების რეგისტრაციიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში.

4. სამუშაო ჯგუფის სხდომის შემდეგ ყველა გადაწყვეტილება აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე და სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი;

5. სამუშაო ჯგუფის ოქმის სათანადო წესით შეკერვასა და შენახვას უზრუნველყოფს სამუშაო ჯგუფის მდივანი.

**მუხლი 5. პროგრამის შედეგი**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ბავშვისა და ოჯახების მხარდაჭერა, ოჯახების სოციალურ ეკონომიკური სირთულეების და მათ წინაშე არსებული საჭიროებების ნაწილობრივი დაძლევა-დაკმაყოფილება ოჯახის გაძლიერების კუთხით.

**მუხლი 6. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა**

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

**მუხლი 7. პროგრამის შესრულების ვადა**

პროგრამის განხორციელების ვადა განისაზღვრება 2023 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

**მუხლი 8. პროგრამის ადმინისტრირება და კონტროლი**

1. ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამაზე ადმინისტრაციული წარმოება მუნიციპალიტეტი მერიაში დაიწყება დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე.
2. პროგრამის ადმინისტრირებასა და კონტროლს ახორციელებს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური.
3. პროგრამის შესრულების მიმდინარეობაზე კონტროლს ახორციელებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

**ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**დადგენილება №25**
**2022 წლის 16 დეკემბერი**

*ქ. ამბროლაური*

**ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის და მიზნობრივი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებათა კოდექსი" 96-ე მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, საფუძველზე ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1**

დამტკიცდეს „ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა და მიზნობრივი დახმარების გაცემის წესი" დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2**

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის და მიზნობრივი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის №20 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 20/21/2021 წ.; სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.117.016502).

**მუხლი 3**

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან.

**ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე** **ასლან საგანელიძე**

*დანართი*

**ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა და მიზნობრივი დახმარების გაცემის წესი**

**მუხლი 1. პროგრამის რეგულირების სფერო და მიზანი**

1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა (შემდგომში – პროგრამა) განსაზღვრავს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის (შემდგომში – მუნიციპალიტეტი) ტერიტორიაზე რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე ბავშვებზე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გასაცემი თანხის ოდენობასა და გაცემის წესს.
2. პროგრამის მიზანია ბავშვის უფლებების დაცვა, ბავშვისა და მისი ოჯახის მხარდაჭერა და გაძლიერება, ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, კრიზისული მდგომარეობის დაძლევაში მხარდაჭერა.

3. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაიცემა ერთჯერადი ფულადი დახმარება რომლის გამოყენებაც უნდა მოხდეს ბავშვის სასწავლო პროცესში ჩასართავად, საკანცელარიო ნივთების შესაძენად, ბავშვის კვების, მედიკამენტების ხარჯების დასაფარად და ოჯახის მდგომარეობიდან გამომდინარე ბავშვისთვის აუცილებელი სხვა საჭირო ღონისძიებების განსახორციელებლად.

**მუხლი 2. ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა**

1. დახმარება გაიცემა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან:
ა) ერთჯერადად 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მუდმივად

მცხოვრებ სოციალური საფრთხის წინაშე მყოფ (ბავშვი, რომელზედაც გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, რომლებიც აფერხებს მის შესაძლებლობას, სათანადო მხარდაჭერის გარეშე გაიაზროს სხვადასხვა გამოწვევა, მათ შორის მშობელთა ზრუნვის გარეშე დარჩენილი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე, დანაშაულის მსხვერპლი ან/და ძალადობის მსხვერპლი, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები) ბავშვზე რომელსაც ესაჭიროება ფინანსური დახმარება.

ბ) მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ბავშვიან ოჯახზე, რომელიც დახმარების თხოვნის მომენტში, სხვადასხვა მიზეზების გამო განიცდის მძიმე კრიზისულ მდგომარეობას ან შექმნილი სირთულეებიდან გამომდინარე საჭიროებენ მხარდაჭერას დროის უმოკლეს პერიოდში ბავშვის საჭიროებისა და საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით გაიცემა დახმარება ერთჯერადად არაუმეტეს 2 000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ფინანსური დახმარება გაიცემა ერთ ოჯახში მცხოვრებ თითოეულ ბავშვზე, რომლის სოციალური საფრთხის წინაშე ყოფნა დადასტურებულია სოციალური მუშაკის დასკვნის საფუძველზე, ხოლო „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დახმარება გაიცემა ბავშვის ოჯახზე და დახმარების ზუსტ ოდენობას წარმოქმნილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შემდგომ განსაზღვრავს მერის ბრძანების საფუძველზე შექმნილ სოციალური პროგრამებისა და სოციალური საკითხების შემსწავლელ სამუშაო ჯგუფი (შემდგომში – სამუშაო ჯგუფი).

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხით შესაძლებელია დაფინანსდეს მძიმე საცხოვრებელ პირობებში/კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახის საცხოვრებელ ფართში მცირე სარემონტო სამუშაოები, ბავშვისთვის საჭირო საცხოვრებელი პირობების შესაქმნელად ინვენტარისა და ავეჯის შეძენა, საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ (გამრიცხველიანებულ) ფართში გათბობის მოწყობა და სხვა კრიზისის დაძლევისთვის საჭირო ღონისძიებები.

**მუხლი 3. ფულადი დახმარების გაცემა**

1. პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსების მიღების მიზნით ბავშვის მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარადგინოს:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) ბავშვის დაბადების მოწმობის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე) ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან ოჯახის სარეიტინგო ქულის შესახებ; (საჭიროების შემთხვევაში);

ვ) შშ ან სსმ პირის შემთხვევაში შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) ცნობა ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №IV-100/ა დედანი) (საჭიროების შემთხვევაში).;

თ) ბავშვის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის საბანკო ანგარიში;

2. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება, ამოწმებს შემოსულ განცხადებებს, ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკი (შემდგომში სოციალური მუშაკი) ადგენს დასკვნას ბავშვის მდგომარეობის შესახებ და სრულყოფილ დოკუმენტაციას განსახილველად გადასცემს სამუშაო ჯგუფს.

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სოციალური მუშაკის მიერ ბავშვისა და ოჯახის შეფასების შედეგად შედგენილი დასკვნის საფუძველზე, სამუშაო ჯგუფი სხდომის ოქმით იღებს გადაწყვეტილებას დახმარების გაცემის შესახებ.

4. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმის საფუძველზე ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

5. დაფინანსების გაცემა ხდება მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტის (ბრძანება) საფუძველზე.

6. თანხა გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორებით.

**მუხლი 4. სამუშაო ჯგუფის მუშაობის წესი**

1. სამუშაო ჯგუფში შედიან მერიის და საკრებულოს წარმომადგენლები, მათ შორის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების საჯარო მოხელეები, სამუშაო ჯგუფი გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით (არანაკლებ სამუშაო ჯგუფის საერთო შემადგენლობის 2/3), ხმათა თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში, თავმჯდომარეს აქვს გადამწყვეტი ხმა;.
2. სამუშაო ჯგუფი დახმარების გაცემის საკითხის განხილვისას ხელმძღვანელობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავით გათვალისწინებული მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესებით.

3. სამუშაო ჯგუფი გადაუდებელი აუცილებლობის არსებობისას იკრიბება განცხადების რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

4. სამუშაო ჯგუფის სხდომის შემდეგ ყველა გადაწყვეტილება აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე და სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი;

5. სამუშაო ჯგუფის ოქმის სათანადო წესით შეკერვასა და შენახვას უზრუნველყოფს სამუშაო ჯგუფის მდივანი.

**მუხლი 5. პროგრამის შედეგი**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე ბავშვისა და მისი ოჯახის მხარდაჭერა, სოციალურ ეკონომიკური სირთულეების და მათ წინაშე არსებული საჭიროებების ნაწილობრივი დაძლევა-დაკმაყოფილება, ოჯახის გაძლიერების კუთხით.

**მუხლი 6. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა**

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

**მუხლი 7. პროგრამის შესრულების ვადა**

პროგრამის განხორციელების ვადა განისაზღვრება 2023 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

**მუხლი 8. პროგრამის ადმინისტრირება და კონტროლი**

1. ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამაზე ადმინისტრაციული წარმოება მუნიციპალიტეტი მერიაში დაიწყება დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე.
2. პროგრამის ადმინისტრირებასა და კონტროლს ახორციელებს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური.

3. პროგრამის შესრულების მიმდინარეობაზე კონტროლს ახორციელებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

| პროგრამის კოდი | ფუნქციონალური კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია | რომელ პრიორიტეტს შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 060213 | | ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა | ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სრუქტურული ერთეული- ადმინისტრაციული სამსახური | სოციალური დაცვა |

## პროგრამის აღწერა, აქტუალობის დასაბუთება და მიზანი

პროგრამის მიზანია ბავშვის უფლებების დაცვა, ბავშვისა და ოჯახების მხარდაჭერა, ბავშვის ოჯახების გაძლიერება მათი ფიზიკური და სოციალური მდგომარების გაუმჯობესება, კრიზისული მდგომარეობის დაძლევაში მხარდაჭერა. მუნიციპალიტეტში მცხოვრები მძიმე კრიზისულ მდიმარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დროის უმოკლეს პერიოდში მხარდაჭერა, რომლებიც , სხვადასხვა მიზეზების გამო განიცდიან მძიმე კრიზისულ მდგომარეობას.(5 ბავშვიანი ოჯახი)

## პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგები

სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება

## პროგრამის/ქვეპროგრამის შედეგის შეფასების რაოდენობრივი და ხარისხობრივი (ეფექტურობის) ინდიკატორები

ლარებში

| N | პროგრამის დასახელება | 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი | მათ შორის | | | საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლი | რაოდენობა / კვ.მ. ჯერადობა | დამატებითი მახასიათებლები (განგარიშება) | დამატებითი ინფორმაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სუბსიდია | საკუთარი სახსრები | სხვა | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1.მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მცხოვრებ სოციალური საფრთხის წინაშე მყოფ ბავშვების ფინანსური დახმარება. | 38,000 | | | | სოციალური უზრუნველყოფა | | | |
| 2 | მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ბავშვიან ოჯახების დახმარება, რომელიც დახმარების თხოვნის მომენტში, სხვადასხვა მიზეზების გამო განიცდის მძიმე კრიზისულ მდგომარეობას ან შექმნილი სირთულეებიდან გამომდინარე საჭიროებენ მხარდაჭერას დროის უმოკლეს პერიოდში ბავშვის საჭიროებისა და საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით | 10000 | | | | სოციალური უზრუნველყოფა | | | |
| სულ | | 48,000 | 0 | 0 | | | | | |